საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქიზეა, ფაქიზებით და ჯიბრებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 27 ნოემბერი, 2015 წელი.

№223 (7868)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ირაკლი შოთაძე: რაფალიანცის, კიწმარიშვილისა და ზურაბ ჟვანიას საქმეების გამოძიებას ეფექტურად დავასრულებთ

2

„ისლამური სახელმწიფო“ მტრების სიაში საქართველოს არ ასახელებს

„ისლამური სახელმწიფო“ საკუთარი დაჯგუფების მტრად 60 ქვეყანას ასახელებს, რომელთა შორისაც საქართველო არ არის. აღნიშნულთან დაკავშირებით დაჯგუფებამ მორიგი პროპაგანდისტული ვიდეორგოლი გამოაქვეყნა.

ჯიჰადისტები მტრებს შორის ამჯერად საბერძნეთს, უკრაინას, მოლდოვას და ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც ასახელებენ. ვიდეორგოლში ნაჩვენებია დასახელებული ქვეყნების ეროვნული დროშები და ნათქვამია, რომ აღნიშნულ ქვეყნებში იმ დაჯგუფებების წინააღმდეგ რეპრესიები განხორციელდება, რომლებიც „ისლამურ სახელმწიფოს“ ებრძვიან.

ვიდეოში ასევე ნათქვამია, რომ ირანმა, თურქეთმა, აშშ-მა და რუსეთმა „ეშმაკთა კოალიცია“ შექმნეს. საქართველო „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ მტრად დასახელებულ ქვეყნებს შორის არ არის. ვიდეორგოლი ინგლისურ, თურქულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე ვრცელდება.

ლელა კურდღელაშვილი: ეკა კვესიტაძე მარტო ზონდერჟურნალისტი არ არის, ის ყოფილი მაღალჩინოსნის ცოლი, დაინტერესებული მხარეა!

5

....ხალხში კიდევ უფრო მეტი დაბნეულობის შეტანა დიდი უნამუსობაა. ეს ქვეყანა იდგა და დგას იმ ადამიანების მხრებზე, რომლებსაც კვესიტაძემ და მისნაირებმა, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

პანკისი და აჭარა უსაფრთხოების ხიდი გახდება!

უცხოელი ექსპერტები „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელებულ ქართულენოვან გზავნილებს ეხმაურებიან

ერთადერთი საღი აზრი, რომელიც არსებობს ამ თემასთან მიმართებაში, პატრიარქმა ილია მეორემ გამოთქვა, რომელმაც ბრძანა, რომ არ ღირს ისლამის, როგორც რელიგიის გაშავება და რომ ტერორისტებს რელიგია ან ეროვნება არ გააჩნიათ. სხვა სიტყვებით, ქართველი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს არაკორექტული ბრალდებებისგან ისლამის მიმართ.

4

„ვიკილიქს ცენტრი“ მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის შესახებ მორიგ მასალას ავრცელებს

...მარგველას ბოკერია ელაპარაკება, ძმაკაცურად. ახალ წლამდე კი შეგვპირდა უგულავაზე, მაგრამ თავი შეიკავა. სათანადო პოლიტიკური გარემო არის შესაქმნელი და ვერ გავაკეთებო. ვანოსაც შევიწყალებ და სხვასაცო, მაგრამ სიტუაცია უნდა შეიქმნასო. მე ვფიქრობ ჩვენები ყველა პოლიტპატიმრებად უნდა გავაფორმოთ, სქემა მომზადებული მაქვს და ვმუშაობთ. სტრასბურგის ბერკეტებს გამოვიყენებთ ასევე.

6

ევროკავშირში გაწევრების მსურველთა რიცხვი წლიდან წლამდე იკლებს!

6

გიორგი თავაძე: არაორგანული მასალათმცოდნეობის მიღწევები და განვითარების პერსპექტივები

7

საქართველო ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას მიიღებს

ევროკომისარი იოჰანეს ჰანი დარწმუნებულია, რომ საქართველო ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას მიიღებს. განცხადება ამის შესახებ ევროკომისარმა აღმოსავლეთ პარტნიორობის არაფორმალური დიალოგის მეექვსე შეხვედრის დაწყებამდე გააკეთა.

„ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა, რადგან იძლევა შესაძლებლობას რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის მინისტრები შეიკრიბონ და სხვადასხვა საკითხებზე იმსჯელონ. ვსაუბრობთ ურთიერთ სასაზღვრო საკითხებზე ჯანდაცვის სფეროში. ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელობაა,“ – აცხადებს იოჰანეს ჰანი.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო.

„რუსთავი-2“-ის მორიგი დეზინფორმაცია

NBGG

ბოტანიკურ ბაღს არავითარი შეხება არა აქვს „პანორამა-თბილისთან“

4

ირაკლი შოთაძე: რაფალიანცის, კიწმარიშვილისა და ზურაბ ჟვანიას საქმეების გამოძიებას ეფექტურად დავასრულებთ

შესაბამისი განცხადება მთავარი პროკურორობის კანდიდატმა ირაკლი შოთაძემ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე გააკეთა.

„2015 წლის მარტში პროკურატურაში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, რომელიც ორიენტირებულია იმ განცხადებებზე მოახდინოს რეაგირება, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოხდა. ამ დროისთვის მთავარ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტის მიერ ქონების ჩამორთმევის 21 დანაშაულებრივი ეპიზოდია გახსნილი. მხილებულია 18 საჯარო მოხელე, რომლებსაც ეკავათ თანამდებობები საქართველოს პროკურატურაში, შსს-ში, თავდაცვის სამინისტროში და სხვა უწყებებში. მათგან, 12 საჯარო მოხელის მიმართ, გამოყენებულია დისკრეცია, ვინაიდან მათ ითანამშრომლეს გამოძიებასთან. ამ ეტაპზე, 2 საჯარო მოხელის მიმართ შეწყვეტილია გამოძიება, მათი გარდაცვალების გამო, 4 პირის მიმართ კი, მიმდინარეობს სისხლის სამართლის დევნა. ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და მას ექნება შეუქცევადი ხასიათი. ჩვენ გვესმის, რომ მიუხედავად გაწეული შრომისა, ბევრი მოქალაქე შეიძლება უკმაყოფილო იყოს ამ ახალი დეპარტამენტის მუშაობით და ტემპით, მაგრამ ეს პროცესი საჭიროებს დროს. ვპირდებით დაზარალებულებს, ყველა განცხადებაზე მოხდება ეფექტური რეაგირება. ვფიქრობ, დეპარტამენტის გასაძლიერებლად კარგი იქნება ამ დეპარტამენტის რიცხოვნობის გაზრდა“, – განაცხადა შოთაძემ.

* * *

საქართველოს მთავარი პროკურატურა ეროსი კიწმარიშვილის საქმეში არსებული ყველა მასალის გასაჯაროებას აპირებს. ეროსი კიწმარიშვილის, ბარბარე რაფალიანცისა და ზურაბ ჟვანიას საქმეებზე მიმდინარე გამოძიებით დეპუტატები დაინტერესდნენ.

ირაკლი შოთაძის თქმით, პირველი, რაც მას რაფალიანცის საქმის გაცნობით თვალში მოხვდა, არაკვალიფიციურობაა, რომლითაც პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა.

„ლაპარაკია შემთხვევის ადგილის დათვალიერებაზე. შესაძლებელი იყო იმავე დნმ-ის ანალიზის აღება, რაც არ გაკეთებულა. კვალიფიციურად არც ქვევრი დათვალიერებულა, რომელშიც ბავშვის ცხედარი იპოვეს. იქიდან ამოღებულ საგნებზე ექსპერტიზა დროულად არ ჩატარებულა. ეს რაფალიანცის სისხლის სამართლის საქმეზე შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომას ძალზე პრობლემურს ხდის. ზურაბ ჟვანიას საქმეზე შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები წლების განმავლობაში არ ჩატარებულა და აქაც იგივე პრობლემებია. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მთელი რიგი დარღვევებია დაშვებული. დარღვევებია შემდგომ საგამოძიებო მოქმედებებშიც“, – აღნიშნა ირაკლი შოთაძემ.

რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეს, მისი ინფორმაციით, გამოძიება ბოლოშია გასული.

„ფაქტობრივად, ყველა საგამოძიებო მოქმედება ამოწურულია. დარჩენილია მცირე საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც უახლოეს მომავალში ამოიწურება. პროკურატურა შესაბამის სამართლებრივ გადაწყვეტილებას მიიღებს და ამის შესახებ თქვენ და საზოგადოებას აცნობებს. სისხლის სამართლის ამ საქმეში არსებული ყველა მასალის გასაჯაროებას ვაპირებთ“, – აღნიშნა ირაკლი შოთაძემ.

* * *

ირაკლი შოთაძის ინფორმაციით, პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, კანონიერ მესაკუთრეებს დაახლოებით 2 მილიონი ლარის ღირებულების უკანონოდ ჩამორთმეული ქონება უკვე დაუბრუნდათ.

„დაზარალებულად ცნობილია 24 მოქალაქე, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტრომ და მთავრობამ უკანონოდ ჩამორთმეული და მათ კანონიერ საკუთრებაში არსებული 26 ავტომანქანა, 2 მიწის ნაკვეთი და ოქროს ნაკეთობები დაუბრუნა, რომელთა საერთო ღირებულება 2 მილიონ ლარამდეა. ასევე დაბრუნების პროცესშია თელავში მდებარე რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების აკურას ღვინის ქარხანა“, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

* * *

ირაკლი შოთაძის ინფორმაციით, უკრაინულ საიტზე, წამების ამსახველი კადრების ამტვირთავის ვინაობაზე უკრაინის სამართალდამცავი ორგანოებიდან ინფორმაცია მიღებული არ არის.

ამ საკითხზე კითხვებით შოთაძეს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გია ვოლსკიმ მიმართა.

„ეს ძალადობრივი კადრები რეალურად ერთი სისხლის სამართლის ნაწილია. საუბარია ე.წ. კასრების სისხლის სამართლის საქმეებზე. მეგის ქარდავამ და კახა თოდუამ ორი პიროვნება აწამეს, რათა მათ არარსებული ტეროტისტული აქტის მომზადება ეღიარებინათ. ეს მათ დროს აპრობირებული მეთოდი იყო. პასუხისგებაშია მიცემული 11 ადამიანი. ბრალდება იყო, თითქოს, ამ კადრებს ჩვენ ვინახავთ, მაგრამ ეს კადრები სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებების სახით იყო დართული. ვის მიერ მოხდა ამ კადრების ატვირთვა, ეს პასუხი მიღებული არ არის. ერთადერთი რესურსი საიდან მოხდა ამ კადრების ატვირთვა, უკრაინის სამართალდამცავ ორგანოშია“, – განაცხადა შოთაძემ.

გიორგი მღებრიშვილი აზერბაიჯანში

ბაქოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა.

გიორგი მღებრიშვილმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას. საქართველოს შს მინისტრმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, ორი ქვეყნის შს სამინისტროების მჭიდრო თანამშრომლობაზე ისაუბრა. შეხვედრის დასასრულს მხარეებმა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები და პერსპექტივები განიხილეს.

საქართველოს შს მინისტრმა, დელეგაციის წევრებთან ერთად, აზერბაიჯანის ეროვნული გმირის – ჰეიდარ ალიევის და მისი მეუღლის, ზარიფა ალიევას ხსოვნას პატივი მიაგო და მათი საფლავები გვირგვინით შეამკო. გიორგი მღებრიშვილმა, ასევე, გვირგვინით შეამკო „მარადიული ცეცხლის“ მემორიალი „შეჰიდების ხეივანში“.

სახელმწიფო ბიუჯეტი

დანაზოგი, იხიხლეთ, კარგია, მაგრამ საიდან?

მაშინ, როცა კალენდარული, და, შესაბამისად, საბიუჯეტო წლის დასრულებამდე ხუთი კვირაღა რჩება, სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი, ასმილიონიანი კორექტივის შეტანა, სხვა თუ არაფერი, იმას ნიშნავს, რომ თავის დროზე, ანუ ბიუჯეტის დაგეგმვისას, ყველაფერი ან ზუსტად გათვლილი არ იყო, ანდა, პირიქით, გარკვეული მოსაზრებით შეგნებულად არასწორად ნაანგარიშევი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკია იმაზე, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სრულყოფილად რეალიზებისთვის, წლის ბოლომდე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტს 96 მილიონი ლარი დაემატა. განცხადება ამის თაობაზე მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა გააკეთა. მაგრამ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: საიდან საბიუჯტო წლის მიწურულს ამდენი „თავისუფალი“ ფული? ქვეყნის მთავარი ფინანსისტის თქმით, ჯანდაცვის სამინისტროსთვის დამატებით სახსრების გამოყოფა საგარეო ვალების მომსახურების 100 მილიონი ლარით შემცირების შედეგად გახდება შესაძლებელი. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის გასაწევი ხარჯი თავდაპირველად ვე არასწორად იყო გათვლილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამხელა გარღვევა წლის დასრულებამდე რამდენიმე კვირით ადრე ძნელი წარმოსადგენია. უფრო სწორად, თავად სამინისტროს წარმომადგენელთა საჯარო განცხადებებით თუ ვიმსჯელობით, გარღვევა ჯერჯერობით კი არ არის, მაგრამ ყველაფერი მისი საფრთხის თავიდან ასაცილებლად კეთდება, რაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთვის 96-მილიონიანი „ინიექცია“ ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამის განსახორციელებლად მაშინ გახდა საჭირო, როცა მასში ჯერაც არ არის გათვალისწინებული სამკურნალო პრეპარატების ღირებულების უმნიშვნელოვანესი მდგენელი, რომლის გათვალისწინების აუცილებლობაზე თავად მინისტრ დავით სერგეენკოს საჯაროდ არაერთგზის განუცხადებია. არადა, ბოლო ერთი წლის მანძილზე მთელი სამკურნალო პროცესის ამ ისედაც უმნიშვნელოვანესი „ინგრედიენტის“ როლი იმდენად „წონადი“ გახდა თითქმის ყველა ოჯახში, რომლის წევრები ამა თუ იმ ფორმით სამედიცინო მეთვალყურეობას საჭიროებენ, რომ ლამის საყოფაცხოვრებო ხარჯების სიმძიმეს გაუტოლდა.

თუმცა, წლევანდელი ბიუჯეტის კორექტირება ამით არ სრულდება, რადგან ახლა უკვე ცნობილია, რომ, ამასთან ერთად, 77 მილიონი ლარით მცირდება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი. ასევე მომავალი წლისთვის გადაიდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საირიგაციო სამუშაოების ჩატარება, ანუ მისი ბიუჯეტიც საგრძნობლად შემცირდება.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, წლის განვლილ პერიოდში, კერძოდ, იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა, მთლიანად, 7 მილიარდ 962 ლარი შეადგინა, რაც 605 მილიონი ლარით მეტია შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. გადასახდელების მხრივ ასევე წლის განვლილ ათ თვეში 7 მილიარდ 710 მილიონი ლარია მობილიზებული, ხოლო ამავე პერიოდში ინფრასტრუქტურულ (ანუ კაპიტალურ) პროექტებზე გაწეულია მილიარდ 226 მილიონი დოლარის ხარჯი.

ბატონ ნოდარ ხადურის განცხადებით, წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები სწორედ ამ ტენდენციების გათვალისწინებითაა წარმოდგენილი: 120 მილიონი ლარით იზრდება გადასახადების გეგმა, ამავდროულად 293 მილიონი ლარით შემცირდება შიდა სესხების მთლიანი მოცულობა. ამის მიზეზი ისაა, რომ მთავრობა სახაზინო ვალდებულებების გამოშვებას აღარ აპირებს, ვინაიდან ამის საჭიროება აღარ არის. საყოფაცხოვრებო ჯანდაცვის პროგრამის 96-მილიონიანი დამატებითი დაფინანსების გარდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლიზინგის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრები 4 მილიონი ლარით გაეზრდება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამავე სამინისტროს შეუმცირდება საირიგაციო და სადრენაჟო პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა, მათი ფრთაშესხმა კი მაისისთვის იგეგმება. 77 ლარით კი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება მცირდება, თუმცა კი, როგორც გაცხადდა, კაპიტალური ხარჯის შეკვეცა შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობაზე არ აისახება, რაც, სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, სიურეალისტურ მტკიცებას უფრო ჰგავს. ხოლო თუ ეს რეალობას შეესაბამება, მაშ, რატომ შემცირდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შესასრულებელი პროექტების მოცულობა დაფინანსების შეკვეცის მიზნით და ასეთი რა „ჯადო“ აქვს გაკეთებული რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომ მისი ბიუჯეტის 77-მილიონიანი შემცირება მის მუშაობაზე, ფაქტობრივად, არ აისახება და, როგორც იქ აცხადებენ, „ყველა დაგეგმილი სამუშაო ბოლომდე იქნება მიყვანილი“? ალბათობის ძალიან დიდი პრცენტით სავარაუდო პასუხი ის გახლავთ, რომ ან წლეულს ჩასატარებელი სამუშაოები ამ თანხით უფრო ძვირად იყო შეფასებული და „დანაზოგიც“ ამის ხარჯზე „წარმოიშვა“, ანდა, ელემენტარულად, სამუშაოთა მოცულობა თავშივე იმ ანგარიშით იყო აღებული, რომ წლის ბოლოს გარკვეული მანევრის შესაძლებლობა ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალური მდგენელი იზრდება, რაც მოსახლეობის გაჭირვებული ფენებისთვის თავისთავად კარგია, რადგან სახელმწიფო ჯანდაცვის გარკვეული დონის შენარჩუნების გარანტიაა, თუმცა კი ამას, სამწუხაროდ, ეკონომიკის მამოძრავებელი კაპიტალური დაბანდებების წილის შემცირება ახლავს, რაც მისი ზრდის ტემპის ამაღლების ვერანაირი ხელშემწყობი პირობა ვერ არის.

ოთარ ტურაბელიძე

◎ გზად – მომავლისკენ!

„აწარმოე საქართველოში“: კიდევ ერთი ახალი საწარმო გაიხსნა

სახელმწიფო პროგრამა – კომპანია „ჯეოკეპი“ პლასტმასის საცობების წარმოებას იწყებს. ახლადგახსნილი საწარმო პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის წევრებთან ერთად დაათვალიერა. მან იმედი გამოთქვა, რომ იმპორტირებულ საქონელს მალე „ჯეოკეპ“–ში წარმოებული ადგილობრივი პროდუქცია ჩაანაცვლებს.

„ძალიან განვიცდი, როდესაც რეგიონებში ჩასული ვხედავდი გაჩანაგებულ ქარხნებს, რომლებიც 20-25 წლის წინ მუშაობდნენ. ასეთი მიტოვებული ქარხნების გაცოცხლება იყო ჩვენი ამოცანა. დღეს ვხედავთ ნათელ მაგალითს, თუ როგორ შეძლო სახელმწიფომ და კერძო სექტორმა ერთობლივი ძალისხმევით ერთ დროს მიტოვებული ქარხნის გაცოცხლება და გაპარტახებული საწარმოს გადაქცევა თანამედროვე, ევროპული ტიპის საწარმოდ. აქ არის ინვესტირებული 4 მილიონი ლარი. „ჯეოკეპს“ შეუძლია არა მხოლოდ ჩაანაცვლოს იმპორტი, არამედ ექსპორტზეც გაიტანოს პროდუქცია,“ – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, სახელმწიფო ცდილობს, მხარი დაუჭიროს ყველა საინტერესო წამოწყებას, ახალი სამეწარმეო იდეების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ წარმოებას და სამუშაო ადგილების შექმნას. „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში კომპანია „ჯეოკეპს“ უსასყიდლოდ გადაეცა მიწის ნაკვეთი და შენობა. დღეისთვის კომპანიას სახელმწიფოს წინაშე აღებული ფინანსური და წარმოების მოცულობის ვალდებულებებიდან, ფინანსური ვალდებულება გადაჭარბებით აქვს შესრულებული. საწარმოს ინვესტიციის ჯამური მოცულობა 2 მილიონი აშშ დოლარია.

დავით სერგეენკო პირობას დებს, რომ მალე მედიკამენტებზე განვადების საჭიროება არ იქნება

აღნიშნულ საკითხზე პასუხისას მინისტრმა განაცხადა, რომ მან არ იცის, ვის დაებადა და საიდან დაებადა აზრი მედიკამენტების განვადებით გაცემაზე.

„რა თქმა უნდა, ასეთი მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად ნებისმიერი საშუალება მისაღებია. თუმცა, შემიძლია ვუთხრა ჩვენ მოსახლეობას, რომ ამის საჭიროება ალბათ არ იქნება, იმიტომ რომ როგორც ადრე იყო, პენსიების ხარჯზე სესხის აღებამ ძალიან დიდი ტვირთი დააკისრა ჩვენს პენსიონერებს. შესაბამისად, ვეცდებით მოსახლეობას მდგომარეობა შევუმსუბუქოთ, რომ არ დასჭირდეთ განვადება პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე“, – განაცხადა დავით სერგეენკომ. აღმოსავლეთ პარტნიორობის არაფორმალური დიალოგის ფარგლებში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვის რეფორმები არის პოზიტიური.

„რჩება ერთი მთავარი გამოწვევა, რომ უნდა გაიზარდოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ამბულატორიულ მედიკამენტებზე, ანუ მედიკამენტებზე, რომლებსაც ისინი ბინაზე ღებულობენ, საავადმყოფოში მისაღებ მედიკამენტებს კი სახელმწიფო უფინანსებს. ეს გამოწვევა რჩება. მე არაერთხელ განმიცხადებია, რომ გვაქვს სამოქმედო გეგმა. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ფაქტობრივად ბოლო დღეების ტესტირებას გავდივართ ამაზე და ალბათ შეგვეძლება მომავალი თვის განმავლობაში უკვე ეს პროექტი დავიწყოთ. ვგულისხმობ მედიკამენტებზე მიწვდომადობის გაზრდას“, – განაცხადა სერგეენკომ.

ცვლილებები საქორწინო ასაკთან დაკავშირებით

საძართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო კანონი საქორწინო ასაკის შეზღუდვის შესახებ. ცვლილების თანახმად, 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით და ისეთი მიზეზის არსებობისას, როგორსაც წარმოადგენს ორსულობა და ბავშვის დაბადება. განმარტებით ბარათში წერია, რომ კანონპროექტის მიზანია, საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე ხელი შეეწყოს 16-დან 18-წლამდე არასრულწლოვან პირთა არასასურველ და იძულებით ქორწინებათა პრევენციას, რასაც ხშირად ადგილი აქვს მშობლების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

„შესაბამისად, 16 წელს მიღწეულ არასრულწლოვან პირებთან მიმართებით მშობლებსა და მზრუნველებს აღარ ექნებათ ქორწინებაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება. ამავდროულად, ცვლილებით კონკრეტდება 16 წელს მიღწეულ არასრულწლოვან პირთა ქორწინების მიზეზი და ერთადერთ პატივსადებ საფუძვლად განისაზღვრება გოგონების შემთხვევაში ორსულობა, ხოლო ბიჭების შემთხვევაში ბავშვის დაბადება“, – ნათქვამია განმარტებით ბარათში.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, „გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით“, რაც იცვლება შემდეგნაირად – „16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება სასამართლოს თანხმობით ისეთი პატივსადები მიზეზის არსებობისას, როგორსაც წარმოადგენს ორსულობა და ბავშვის დაბადება“.

რით იკვებებიან ბავშვები სკოლაში და ბაღში?

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, უწყება განაგრძობს საბავშვო ბაღების კვების ბლოკებისა და სკოლის ბუფეტების ინსპექტირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მიმდინარე წლის ნოემბერში ჩატარდა 290 ინსპექტირება (გეგმური – 40 საბავშვო ბაგა-ბაღსა და 4 სკოლაში, არაგეგმური – 2 სკოლაში, გადამოწმდა 213 საბავშვო ბაგა-ბაღი და 31 სკოლის ბუფეტი). გადამოწმებისას რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო 400 ლარით დაჯარიმდა 5 საბავშვო ბაღი.

ინსპექტირებისას კრიტიკული შეუსაბამობები არ გამოვლენილა და, შესაბამისად, არცერთი საბავშვო ბაღის კვების ბლოკსა და სკოლის ბუფეტს საწარმოო პროცესი არ შეჩერებია. ძირითადად, დარღვევები გამოისატა შემდეგში – ჭურჭლის გასარეცხი და ხელსაბანი ნიჟარების არასაკმარისი რაოდენობა, ცხელი წყლისა და შესაბამისი ჰიგიენური საშუალებების, სათანადო ვენტილაციის, დეზობარიერების, მწერებისაგან დამცავი ბადის არარსებობა, დამცავი ტანისამოსის არქონა და ა. შ.

აღნიშნული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით ბიზნესოპერატორებს მიეცათ რეკომენდაციები და ვადები, რის შემდეგაც სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები გადამოწმებას განახორციელებენ. ინსპექტირების პროცესი კვლავ გრძელდება.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ ევროკომისარი

საბოლოო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე ვერ განისაზღვრება

პუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების მართვის საკითხებში ევროკომისარი ქრისტოს სტილიანიდისი, ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს დადებითად აფასებს.

ამის შესახებ ევროკომისარმა ევროპარლამენტში საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

„ნება მომეცით, კიდევ ერთხელ დავადასტურო ევროკავშირის მხარდაჭერა ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოციირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართ. ვიცე-პრეზიდენტ ფედერიკა მოგერინს კარგი ვიზიტი ჰქონდა საქართველოში 10 ნოემბერს. ჩვენ ასევე ჩავატარეთ ჩვენი ასოციირების კომისიის მეორე სხდომა 16 ნოემბერს ბრიუსელში, ხოლო კომისარი იოჰანეს ჰანი თბილისს ვიზიტით ეწვევა. ამ ნოემბერში, პრაქტიკულად, ყოველ კვირას მაღალი დონის შეხვედრები იმართება. საქართველო-ევროკავშირის ასოციირების კომისიამ განიხილა საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შეთანხმების განხორციელებისას მიღწეული პროგრესი. მან, ასევე, განიხილა რამდენიმე გამოწვევა, რომელიც რჩება. რაც შეეხება პროგრესს, ჩვენ მივესალმებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელშეკრულების კარგად განხორციელებას და ანგარიშებს, რომლის თანახმად საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში გაიზარდა. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროსტანდარტებთან დადებით პროგრესს განიცდის. ამავე დროს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფუნქციონირებისა და სარგებლისთვის საქართველოში ბიზნესთან კომუნიკაცია მნიშვნელოვანია. რაც შეეხება გამოწვევებს, აქ არის მშვიდი და პატივისცემაზე დამყარებული პოლიტიკური გარემოს გარანტირების საჭიროება, ამის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯები და განცხადებები კი, თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ყველა ჩვენი კომუნიკაციის დროს ჩვენ გამოვხატეთ, რომ დემოკრატიული იმპულსი უნდა შენარჩუნდეს განსაკუთრებით 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის და ჩვენ მოველით ინსტიტუტების დამოუკიდებლობის მიმართ სრულ პატივისცემას, მათ შორის, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ. ინსტიტუტები არიან დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და საქართველოში ადამიანის უფლებების გარანტი. მოახლოებული საარჩევნო კამპანია პირველი იქნება, რომელიც ასოციირების ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარდება. ჩვენ ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ ხელისუფლების მიერ გაცხადებულ მიზანს, ჩატარდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. ამ შემთხვევაში მედიის თავისუფლება აუცილებელია, მათ შორის, მედიასაშუალებებზე ოპოზიციური პარტიების თანაბარი წვდომა“, – განაცხადა ევროკომისარმა.

ქრისტოს სტილიანიდისის განცხადებით, ევროკავშირი აფასებს საქართველოს მიერ სასამართლო სისტემაში განხორციელებულ რეფორმებში მიღწეულ პროგრესს.

„სასამართლოს დამოუკიდებლობა ჩვენი ასოციირების შუაგულშია. ასევე, ევროკავშირი სასამართლოში განხილვის პროცესში მყოფ ინდივიდუალურ საქმეებს არ აფასებს. ჩვენ ვაკვირდებით, არის თუ არა დაცული ჩვენი საერთო პრინციპები. ეს შეეხება ე.წ. მაღალი ინტერესის მქონე სასამართლო საქმეებს, მათ შორის, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებულ კერძო დავას და ოპოზიციური აქტივისტების წინასწარ პატიმრობას. ასევე, ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერას, რომ გარდაქმნას სასამართლო და გააძლიეროს იგი“, – აღნიშნა ევროკომისარმა.

მისივე თქმით, ასოციირების საბჭოზე ვიცე-პრეზიდენტი მოგერინი და კომისარი იოჰანეს ჰანი მიესალმნენ საქართველოს პროგრესს ვიზალიბერალიზაციის პროცესში.

„ბევრი ნიშნული უკვე შესრულებულია. ეს ძალისხმევა გაგრძელებას საჭიროებს. საბოლოო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე არ შეიძლება განისაზღვროს. ჩვენ ვხედავთ პოზიტიურ ნიშნებს იმ პროცესში, რაც ჩვენს წინაშეა“, – განაცხადა სტილიანიდისმა.

ევროდეპუტატი სიტყვით გამოსვლისას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებსაც შეეხო.

„აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ რეგიონებში განვითარებული პროცესები ასოციირების საბჭოს დღის წესრიგში იყო. მოგერინიმ და ჰანმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ევროკავშირი რჩება მტკიცედ ერთგული მშვიდობის, სტაბილურობის და კონფლიქტის გადაჭრის, ასევე არაღიარების პოლიტიკის მიმართ. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისის საკითხებში, ჟენევის დისკუსიებში ევროკავშირის თანათავმჯდომარეები, ისევე, როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, არიან თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი გამოხატულება ამ მხარდაჭერაში“, – აღნიშნა ევროკომისარმა.

მისივე თქმით, ევროკავშირი მადლიერია იმ წვლილის მიმართ, რომელიც საქართველოს შეაქვს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მალიში, ასევე, უკრაინაში ევროკავშირის მრჩეველთა მისიაში.

ლიკა კასრაძე

◎ ნუ გეშინიათ!

პანკისი და აჭარა უსაფრთხოების ხიდი გახდება!

„ისლამური სახელმწიფოს“ სახელით ქართულ ენაზე გავრცელებული ვიდეო რგოლის სავარაუდო გზავნილებზე, რადიკალიზმის გავრცელებასა და ქართველი მუსლიმების ინტეგრაციის მნიშვნელობაზე, ამერიკის ხმამ ექსპერტების შეფასებები მოისმინა.

„ამერიკის ხმის“ ქართული სამსახურის ინფორმაციით, ილან ბერმანი ვაშინგტონში დაფუძნებული ამერიკის საგარეო პოლიტიკის საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი და აღნიშნულ საკითხებში განსწავლული მკვლევარია. მაირბეკ ვაჩაგაევი კი ჩეჩენი ისტორიკოსია, ამჟამად ვაშინგტონში არსებული ჯეიმსთაუნის ფონდის ანალიტიკოსი და სორბონის უნივერსიტეტის მეცნიერებათა დოქტორი.

გამოცემის ინფორმაციით, თუ რა დგას ქართულ ენაზე გავრცელებული ვიდეომიმართვის უკან და როგორ უნდა აღიქვან ის საქართველოში, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გზავნილი მრავალმხრივია.

ილან ბერმანი: ისლამური სახელმწიფოს ვიდეომიმართვა ნათელი სიგნალია იმისა, რომ ეს ორგანიზაცია სტრატეგიულ ხედვას აფართოებს სირიისა და ერაყის საბრძოლო ტრაექტორიის მიღმა იქ, სადაც მას პოტენციალი და ინტერესი აქვს პოლიტიკური სტრუქტურების დამხობის მიზნით. ასე ხდებოდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში რუსეთის ფედერაციაში. ახლა, გზავნილი საქართველოსადმი აშკარა ინდიკაციაა, რომ ეს ორგანიზაცია პოსტ-საბჭოთა სივრცეს აკვირდება და გაფართოებას ცდილობს. პარიზსა და სხვაგან განვითარებული მსგავსი თავდასხმების შემდეგ დავრწმუნდით, რომ ბრძოლა „ისლამური სახელმწიფოს“ წინაამდეგ სინამდვილეში ახლო აღმოსავლეთში არ არის კონცენტრირებული, არამედ ევროპისა და ევრაზიის რეგიონებში მიმდინარეობს. ის, რასაც საქართველოს მთავრობა აკეთებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საერთაშორისო ძალისხმევის ეგიდით, საბოლოო ჯამში, შედეგს გამოიღებს და ამ დაჯგუფების ბრძოლისუნარიანობას შეამცირებს, მაგრამ ეს გრძელვადიან პერსპექტივაში მოხდება, თუმცა საქართველოს ჩართულობა გლობალურ ძალისხმევაში ამ ქვეყანასაც მოუტანს სარგებელს, რამეთუ ტერორის ქსელის ბრძოლისუნარიანობის შეზღუდვა მის გავრცელებასაც აღმოფხვრის საქართველოში.

მაირბეკ ვაჩაგაევი: ყველაფერი ეს უნდა განვიხილოთ იმ კონტექსტში, რომ დაჯგუფების ყველა უცხოელმა წევრმა ერთგვარი ანგარიში უნდა ჩააბაროს, თუ რას აკეთებს ხალიფ აბუ ბაქრ ალ ბაღდადის („ისლამური სახელმწიფოს“ მეთაური-მ.ვ.) სამსახურში. ამ ტიპის ჩანაწერი მე აღვიქვი, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ ქართველი წევრების პროპაგანდა.

რადიკალიზმის ნიშნების გადატანას პანკისის საზღვრებს მიღმა და შესატყვისი მუშაობის საჭიროებას საზოგადოებისა და მთავრობის მხრიდან, ორივე ექსპერტი ანალოგიური ხასიათის განცხადებებით ეხმიანება:

ილან ბერმანი: ისლამური რადიკალიზმის, და არა ჯიჰადის, საფრთხე საქართველოში მხოლოდ გარედან არის პროვოცირებული. რა თქმა უნდა, ბოლო ათი წელია, პანკისის ხეობაში ისლამური რადიკალების შესვლით დღევანდელმა სიტუაციამ მოიგო და ერთგვარად, ამ ახალი ნაკადის წევრებიც პანკისის სიტუაციამ მოამზადა. მაგრამ, მუსლიმი თემი არც ისე დიდია, და როგორც ჩანს ყველა ეს ადამიანი „ისლამურ სახელმწიფოში“ გაერთიანებას არ ფიქრობს. ვიტყოდი პირიქით: ის, რაც ხდება, პირველ რიგში „ისლამური სახელმწიფოს“ ამბიციის გამოვლინებაა, რომ მას რეგიონული ხალიფატის შექმნა სურს და უნდა

უცხოელი ექსპერტები „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელებულ ქართულენოვან გზავნილებს ეხმაურებიან

რეგიონის მთავრობები გააფრთხილოს, რომ სწორედ ასეთი ზრახვები ამოძრავებს.

რაც შეეხება ქართული საზოგადოებისა და მთავრობის გამოხმაურებას: მე გეტყვით, რომ „ალ-ქაიდა“ და „ისლამური სახელმწიფო“ განსაკუთრებით იმიტომ გაძლიერდნენ, რომ ქვეყნებში მუსლიმებს შესატყვისი შესაძლებლობები არ გააჩნდათ, ისინი არც საკმარისად ინტეგრირებული ყოფილან საზოგადოებაში. რაც არ უნდა მცირე ზომის იყოს საქართველოს მუსლიმური თემი, გასაკეთებელი ბევრია იმისთვის, რათა ამ თემმა თავი სრულად რეალიზებულად, ინტეგრირებულად იგრძნოს ქვეყნის ცხოვრებაში.

მაირბეკ ვაჩაგაევი: საუბარი იმაზე, თუ როგორ შეწყვიტონ მსგავსი გზავნილების გავრცელება ან ის, რომ სპეცსამსახურები რაღაცას აკეთებენ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, არასერიოზულია და ისინი ქართველი ხალხის ყურადღებას არ იმსახურებს. არც სპეცსამსახურებმა, არც არავინ მთავრობაში არ იცის, რასთან აქვს საქმე. **ერთადერთი საღი აზრი, რომელიც არსებობს ამ თემასთან მიმართებაში, პატრიარქმა ილია მეორემ გააჟღერა, რომელმაც ბრძანა, რომ არ ღირს ისლამის, როგორც რელიგიის გაშავება და რომ ტერორისტებს რელიგია ან ეროვნება არ გააჩნიათ. სხვა სიტყვებით, ქართული საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს არაკორექტული ბრალდებებისგან ისლამის მიმართ.**

რაც შეეხება საჭირო ძალისხმევას, საქართველოში უნდა იბრძოლონ თითოეული ახალგაზრდა ადამიანის გადასარჩენად და გააცნობიერონ, რომ თითოეულ ადამიანს მთელმა საზოგადოებამ უნდა უშველოს, გაკეთდეს ყველაფერი, რათა ის მარტო არ დარჩეს, როცა საზოგადოებისგან იმედგაცრუებული აღმოჩნდება. სასურველი იქნებოდა, რომ მთელი ქართული სამოქალაქო საზოგადოების ყურადღება გადაერთოს მუსლიმებით დასახლებულ რაიონებზე იმისთვის, რათა მათ (მუსლიმების თემმა) თავი საზოგადოების პასუხისმგებლიან ნაწილად იგრძნოს და როგორც ქვეყნის მოქალაქეებმა, დაინახონ სამოქალაქო საზოგადოების შემხვედრი ინტერესი და პასუხისმგებლობა.

არის თუ არა კანონზომიერება იმაში, რომ ერთი შეხედვით მშვიდობიან საქართველოში მცირერიცხოვანი მუსლიმ თემს ამდენად რადიკალური შეხედულებები ახასიათებს?

სინამდვილეში, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ისლამთან მიმართებაში არ არის თანმიმდევრული. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მუსლიმების წინააღმდეგ არანაირ ზომებს არ მიმართავს, მაინც, ის თვალს ხუჭავს ფსევდოპატრიოტების მოქმედებებზე ეკლესიის მხრიდან.

წინწყაროში, მოხში, ქობულეთში მომხდარი შემთხვევები კარგი მაგალითია, თუ როგორ აძლევს მთავრობა დროს საზოგადოების ერთ ნაწილს აბუჩად აიგდოს მეორე მხარე, და ეს მაშინ, როცა ორივე მხარე ქართველია. მინდა კარგად გამიგონ მართლმადიდებლებმა: თითოეული ასეთი აქცია მორიგ, რადიკალურად განწყობილ ადამიანს აყალიბებს.

მთავარია, საქართველოს მოსახლეობამ შეინარჩუნოს ისტორიულად დამახასიათებელი ტოლერანტობა და არ მისცეს საკუთარ თავს უფლება, ჩაერთოს დისკუსიაში, თუ რომელი ისლამია კარგი ან ცუდი. დაე, თითოეულმა ქართველმა თანამემამულეში სწორედ ქართველი დაინახოს და არა იმით გაწსაჯოს ის, თუ რა აღმსარებლობის არის ეს ადამიანი. და ბოლოს, მე ვფიქრობ პანკისი და აჭარა გახდება ის ხიდი, რომელიც ძვეყანას უსაფრთხოებას მოუტანს.

◎ დაზუსტება



„ენგურჰესი“ 100-პროცენტიანი ქართული სახელმწიფო საწარმოა!

სასურველია, რომ შეცდომა ინტერნეტშიც გასწორდეს!..

ჩვენი გაზეთის 2015 წლის 17 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ინტერნეტიდან მოპოვებული ინფორმაცია **„თამარ ჩერგოლეიშვილს ახლაღა აეხილა ნაციონალური თვალი?“** მასში ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში „გაზპრომის“ საწინააღმდეგო აქციაზე პლაკატების გაკვრისას ჟურნალისტი თამარ ჩერგოლეიშვილი და მასთან ერთად ორი პიროვნება დააკავეს, შემდეგ კი ყველა ხელწერილით გაათავისუფლეს. ამასთან დაკავშირებით ავტორი იუმორით წერს, ნაციონალების ორმაგი სტანდარტით თამაში რომ არა, განა ვინმეს გაუგია თამარ ჩერგოლეიშვილის საპროტესტო ხმა, როცა ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის ეკონომიკას უცხო ქვეყნების ბიზნესზე ჰყიდდა, თუკი მაშინ პოლიტიკას და ეკონომიკას ერთმანეთთან შეხება არ ჰქონდა, ახლა რა შეიცვალაო? და საილუსტრაციოდ მოჰყავს ნაცების მიერ გაყიდული 32 ობიექტის სია. მათ შორის დასახელებულია „ენგურჰესი“, როგორც რუსულ კომპანია „რაოესის“ საკუთრება.

ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის **ბატონ ლევან მეგონიას** აღშფოთებული წერილი, რომ **„ენგურჰესი“ წარმოადგენს 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს და მის წილს, მართვის უფლებით, ფლობს ენერგეტიკის სამინისტრო. „გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციით, რომელიც გამყარებული არ არის შესაბამისი მტკიცებულებით, ილახება შპს „ენგურჰესის“ საქმიანი რეპუტაცია და სახელმწიფო ინტერესები საერთაშორისო დონეზე: ჩვენს უცხოელ პარტნიორებს (საგაზეთო ინფორმაციაზე დაყრდნობით) უჩნდებათ მცდარი წარმოდგენა და საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩვენ განზრახ, შეგნებულად შეგვყავს ისინი შეცდომაში, როდესაც ვაცხადებთ, რომ ხელშეკრულების დასადებად სხვადასხვა სამთავრობო უწყებიდან გვესაჭიროება გარკვეული ნებართვების მიღება და შესაბამისი სამართლებრივი ექსპერტიზის გავლა“.**

ბატონი ლევან მეგონია კატეგორიულად მოითხოვს უახლოეს ნომერში **უარვყოთ „ენგურჰესთან“ დაკავშირებით გავრცელებული ცრუ ინფორმაცია“.**

რედაქცია აღიარებს, რომ „ენგურჰესის“ მიმართ ინფორმაციაში მართლაც დაშვებულია უხეში შეცდომა და ბოდიშს უხდის სახელოვან ენგურჰესელებს, ოღონდ ისიც სათქმელია, რომ შეცდომა დაშვებულია რედაქციის მხრიდან უყურადღებობით — ინტერნეტიდან მოპოვებული ინფორმაციის გადაუმოწმებლობით.

„ენგურჰესის“ კოლექტივს გულწრფელად ვუსურვებთ შემდგომ წინსვლასა და გამარჯვებებს თავის კეთილშობილურ და სახელოვან საქმიანობაში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

◎ „რუსთავი-2“-ის მორიგი დეზინფორმაცია

ბოტანიკურ ბაღს არავითარი შეხება არა აქვს „პანორამა-თბილისთან“

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაცია ეხმაურება ტელეკომპანია „რუსთავი-2“-სა და მათზე დაყრდნობით, სხვადასხვა ინტერნეტ საშუალებებით გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას.

23 ნოემბერს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერის“ ანონსში გახმიანდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში „პანორამა-თბილისის“ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ხეების გაჩეხვა, რის შესახებაც ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტში არაფერი თქმულა!!!

სამწუხაროდ ტელემაყურებელთა გარკვეულ ნაწილს სჯერა იმ სიცრუის, რომლის ტირაჟირებასაც აქტიურად აწარმოებს აღნიშნული კომპანია, ამის დამადასტურებელი იყო 25 ნოემბერს მედიაკავშირ „ობიექტივის“ ტელეწამყვან ვახტანგ ბეგიაშვილის გადაცემაში განხორციელებული ზარი, სადაც ტელემაყურებელი სწორედ „რუსთავი-2“-ის ამ სიცრუეზე დაყრდნობით გამოხატავდა თავის აღშფოთებას ბოტანიკურ ბაღში უნიკალური, ასწლოვანი ხეების მოჭრის თაობაზე.

ვაცხადებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს არანაირი შეხება არა აქვს პროექტ „პანორამა-თბილისთან“. ბაღის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს ხეების მოჭრა, გარდა აუცილებელი საჭიროებისა, თუ ხე ხმელი, ან დაავადებული არ არის, რომლის დროსაც ხდება სპეციალისტების მიერ შესაბამისი დასკვნის დადება. ბაღის ტერიტორიიდან გატანილი ხის ხმელი ნარჩენები გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, რაიონულ გამგეობებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის დასარიგებლად.

გვსურს, დავამშვიდოთ მოსახლეობა და ვთხოვოთ, ნუ აყვებიან ცრუ ინფორმაციებს და ხელს ნუ შეუწყობენ სხვადასხვა საშუალებებით ამ დეზინფორმაციის მასობრივად გავრცელების მცდელობას.

ასევე, გვსურს, ვუთხრათ თბილისის მოსახლეობას და დედაქალაქის სტუმრებს, რომ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი არის ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი, სადაც შეუძლიათ მოსვლა, დათვალიერება და იმ მშვენიერი ბუნებით დატკბობა, რომელიც უკვე რამდენიმე საუკუნეა არსებობს და რომელსაც დღესაც რუდუნებით უვლიან ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები.

ეროვნული ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაცია

ეკა კვესიტაძე მარტო ზონდერჟურნალისტი არ არის, ის ყოფილი მაღალჩინოსნის ცოლი, დაინტერესებული მხარეა!

ინგა პავლოვა და ანგოლაგეიტსი — ეს საკითხი „რუსთავი-2“-სთვის ისევ აქტუალური თემა გახდა. ამჯერად ბიძინა ივანიშვილის „ბურუსით მოცული წარსული“ „განსხვავებულ აქცენტებში“ ეკა კვესიტაძემ და საფრანგეთში მცხოვრებმა ჟურნალისტმა ვლადიმერ ივანიძემ მიმოიხილეს. რაც შეეხება „ჟურნალისტ ივანიძეს“, მისი ჟურნალისტური კარიერის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ მწირია. მისი საქმიანობა მხოლოდ ივანიშვილის ქორწინებისა და ანგოლაგეიტსის საქმით შემოიფარგლება. მას არც აქამდე და არც ამის მერე არ გაუკეთებია არც ერთი ჟურნალისტური გამოძიება, რაც თავისთავად აჩენს კითხვებს, ვინ არის და რა ინტერესი ამოძრავებს მას. თუმცა, ივანიძეს რომ იგივე ხელი ამოძრავებს, რომელიც კვესიტაძეს, ეს დიდ გამოცანას არ წარმოადგენს.

ჟურნალისტი, ექსპერტი მედია მენეჯმენტის საკითხებში ლელა კურდღელაშვილი ამბობს, რომ გადაცემა „განსხვავებული აქცენტების“ ავტორი არის მხარე, რომლის კეთილდღეობა დაკავშირებულია სწორედ „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

— ინგა პავლოვას საკითხი ძალიან აქტუალური იყო „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და „რუსთავი-2“-სთვის 2011-2012 წლებში, მაშინ ვერაფერი იპოვეს ამ თემის გარშემო, მაგრამ დღეს ეკა კვესიტაძის მხრიდან ამ თემის წამოწევას რითი ხსნით, რისი დამტკიცება უნდოდა კვესიტაძეს?

— ლელა კურდღელაშვილი: მე არ ვარ კვესიტაძის მაყურებელი, რადგან კვესიტაძე ჩემთვის არაფრის მომცემი არ არის. „რუსთავი-2“ არ არის ინფორმაციის წყარო. „რუსთავი-2“ ყოველთვის ემსახურებოდა გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებს და არც მალავენ, რომ ეს არის ნაციონალური მოძრაობის ინტერესების პლატფორმის გამომხატველი ტელევიზია.

ეს გადაცემაც მხოლოდ იმიტომ ვნახე, რომ თქვენ მომმართეთ კითხვით, რატომ შეიძლებოდა გახსენებოდა „რუსთავი-2“-ს ახლა ეს საკითხი. ეს ჩემს ინფორმაციულობას არაფერს არ მატებს, არც იმის გარკვევაში მეხმარება, როგორ დავგეგმო ჩემი შემდეგი ცხოვრება, თუმცა, „ქართული გაზეთის“ რედაქტორი, გიგი უგულავას და გიგა ბოკერიას მეგობარი გუგა სულხანიშვილი აცხადებს, რომ თურმე ეს ძალიან მნიშვნელოვანია. არანაირად არ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი, იყო თუ არა ქორწინებაში ბიძინა ივანიშვილი ვინმე პავლოვასთან, რომელიც 20 წლის შემდეგ შემთხვევით იგებს თურმე, რომ ქმარი გაშორდა. ივანიშვილი არ არის საჯარო პირი, რომ მისი პირადი ცხოვრება ვიცოდე. რატომ უნდა იყოს ეკა კვესიტაძის გადაცემის თემა ვიღაცის ფიქტიური ქორწინება — ეს კიდევ სხვა თემაა.

ლელა კურდღელაშვილი

გავიხსენოთ, რა უსწრებდა ამ ყველაფერს წინ. „რუსთავი-2“-ში ნიკა გვარამიას მმართველობის საკითხი დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. საფრთხე დაემუქრა, რომ „რუსთავი-2“-ს დაკარგავდა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც უნდა, ისევ დაიბრუნოს ძალაუფლება და გავლენა.

— ანუ, ყოფილი მმართველი გუნდი „რუსთავი-2“-ს იყენებს, როგორც საინფორმაციო იარაღს?

— საზოგადოებას ერთ ნაწილს აწუხებს საინფორმაციო შიმშილი, დარჩენილი იყო და დღემდე დარჩენილია „რუსთავი-2“-ის იმედზე. მათ ძალიან კარგად აწყობილი ბადე აქვთ და მაყურებელი ამას მიჩვეულია. მხოლოდ ახლა დაიწყო ფორმაში შესვლა რამდენიმე თოქ-შოუმ. ძალიან დიდი დანაშაული ჩავიდინეთ, როდესაც მოსახლეობა შევატოვეთ „რუსთავი-2“-ს და ვერ შევუქმენით ალტერნატივა. ახლა კი, რასაც უნდათ, იმას უკეთებენ მათ ცნობიერებას.

როგორც კი საფრთხე გაჩნდა და მიხვდნენ, რომ კარგავენ ჩვენს ცნობიერებაზე ზემოქმედებას, ცდილობენ, რომ ეს პერიოდი კარგად გამოიყენონ და სწორედ აქ არის პასუხი, თუ რამ გაახსენა ახლა კვესიტაძეს ეს თემა, რომელიც, ამ ლოგიკით, აქტუალური იყო 2012 წელსაც, როდესაც ძალაუფლებაც მათ ხელში იყო და მედიაც — არა მარტო „რუსთავი-2“, არამედ სხვა ტელევიზიებიც, და მაშინ ვერაფერი ვერ ქნეს. მაშინაც ვერ გააცოცხლეს ეს თემები. იციან, რომ არაფერი არ არის, მაგრამ აუცილებლად გამოიყენებენ ისევ ამ თემას, რომ მაქსიმალური შეტევა მიიტანონ ბიძინა ივანიშვილზე. და ვინ არის ივანიშვილი? არაფორმალური ლიდერი? მიზანი ნათელია — უნდა დავარტყა ივანიშვილს, რომ პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნება“, რომელიც ჩემი პოლიტიკური მოწინააღმდეგეა, რამენაირად გავაშავო და ამით, მოსახლეობაში როგორმე შევძლო ივანიშვილის დემონიზაცია.

ძალიან მეცოდება ჩვენი ტელემაყურებელი, რადგან ქართული საზოგადოების ღირებულებითი სისტემა სულაც არ ემთხვევა იმ თემებს, რომელსაც ეს სიუჟეტი გვთავაზობს. ამ სიუჟეტიდან ვერ გავიგე, ვინ ვინ არის და რა უნდა ამ „ბოროტ გმირს“. ცუდი დეტექტიური რომანის ჟანრშია გაკეთებული.

— დაარტყეს ოჯახს და ისეთ თემას, როგორც არის იარაღით ვაჭრობა...

— იარაღის ფარული გაყიდვა ძალიან სერიოზული დანაშაულია. წინ წამოწიეს რამდენიმე აქცენტი, რომელიც ხელს შეუწყობს დემონიზაციას.

ჟურნალისტები ვართ და ვიცით, რომ როდესაც ადამიანს ადანაშაულებ იარაღით ვაჭრობაში, უნდა დადო დოკუმენტური მტკიცებულება და არა ჟურნალისტის ვარაუდი. კვესიტაძემ, როგორც ჩვენია, ამ შემთხვევაშიც დაარღვია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკა. გამოდის, რომ თემები არ აქვთ და ისევ იმავე წრეში ტრიალებენ...

— კვესიტაძემ გადაცემის ბოლოს თქვა, ბიძინა ივანიშვილთან გვაქვს ძალიან ბევრი კითხვა, მაგალითად ფლობს თუ არა რუსეთში ქონებასო. უკაცრავად, მაგრამ ის მოქმედ, რომ თურმე 1994 წელს პარიზის მეცამეტე რაიონში ხელი მოუწერია ვიღაცა პავლოვასთან და ის ვერ გაარკვიე, რა ქონება აქვს რუსეთში?

— თან ეს ის კვესიტაძეა, რომელმაც წინა გადაცემაში თურმე გაყალბებული მიმოწერა წარმოადგინა, და არც კი უცდია, მაყურებლისთვის აეხსნა, რა გააკეთა. თუკი პროკურატურა ამბობს, რომ ეს გაყალბებული დოკუმენტია (ე.წ. ჯღარკავა-ბედუკაძის მიმოწერა), თუნდაც მაყურებელს რომ განუმარტოს, ამასაც კი არ თვლის საჭიროდ! ანუ იტყვის და მორჩა! მერე სხვას თავში ქვა უხლია.

— კვესიტაძე მხარეა?

— რა თქმა უნდა, მხარეა, ისევე, როგორც ივანიძე. საერთოდ, ძალიან სასაცილოა ეს ვიღაცა ჟურნალისტი ვლადიმერ ივანიძე. ივანიძის ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ ვერაფერი ვნახეთ, გარდა იმისა, რომ არკვევს, ყავდა თუ არა 1994 წელს ივანიშვილს ცოლი, რომელსაც თვითონ არ ახსოვდა, რომ ცოლი იყო და აგერ, ახლა, კვესიტაძეს აძლევს ინტერვიუს. ცხადია, რომ ივანიძე დაიქირავეს ამ საქმისთვის, ხოლო ვინ დაიქირავა, არ მგონია ვინმეს ეს კითხვა გაუჩნდეს. ასეთი ჟურნალისტური კვლევების ფასი ნულია.

— ძალიან ბევრს საუბრობდნენ, რომ თემურ ალასანია და მისი შვილი ჩართული იყვნენ და დღესაც დაკავებული არიან იარაღით უკანონო ვაჭრობით, მაგრამ მაშინ არაფერი მოგვისმენია არც „რუსთავი 2“-სგან და არც კვესიტაძისგან. თქვენ სპეცსამსახურები ახსენეთ და მინდა გკითხოთ, იყო თუ არა ეს გადაცემა სპეცსამსახურების პროდუქტი?

— ვერაფერს გეტყვით ალასანიას კავშირებზე. ეს ძალოვანი სტრუქტურის პრეროგატივაა. კარგი იქნება, თუ ამ კუთხით იმუშავებენ და მოსახლეობაც არ იქნება საინფორმაციო ტერორის მსხვერპლი. კვესიტაძე ყვება ამბავს, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება არის ივანიშვილის დემონიზაცია. არის ვიღაც ვლადიმერ ივანიძე, რომელიც რატომღაც მხოლოდ ივანიშვილის და მისი გაუგებარი 20 წლის წინანდელი ცოლის საკითხით არის დაკავებული. პირდაპირ გეუბნებით, რომ ივანიძე არის სპეცსამსახურების პროდუქტი, რომელიც ინტერნეტით ავრცელებს ამ სისულელეებს და საქართველოში ამ სისულელეების გასავრცელებლად შექმნილია საინფორმაციო სივრცე, როგორიც არის ლაშა ბერულავას „აფხაზეთის ხმა“, გუგა სულხანიშვილის „ქართული გაზეთი“, ელისო კილაძის „ქრონიკა პლუსი“, „რადიო პირველი“... ყველა დონეზე შექმნეს საინფორმაციო კომუნიკაცია, ეს უკვე ბოროტი ცოდნით გაკეთებული საქმეა.

— კითხვა მაქვს კვესიტაძესთან... რამდენადაც ვიცი, მას უყვარს ევროპაში სიარული... წავიდეს და გაიკითხოს, საიდან უნდა გამოითხოვოს იურიდიულად მყარი დოკუმენტები, ნაცვლად იმისა, რომ რაღაც ფარატინა ფურცლებით შეეცადო ადამიანების დეზინფორმირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი არ არის ხელისუფლებაში, მას საზოგადოებაში მაღალი ნდობა აქვს. რას უკავშირდება ეს კამპანია?

— ძალიან დიდი დამნაშავე ხარ, როდესაც მოსახლეობის ამ ნდობის სტატუსს ებრძვი ყალბი დოკუმენტებით და არა რეალური ფაქტებით. თუ რამის თქმა შეგიძლია, მითხარი ფაქტით. მაგრამ გონებას მიმღვრევ იმიტომ, რომ შენ ძალაუფლება გინდა. ამას არც მოქალაქეობა ჰქვია და არც ჟურნალისტობა.

— ამას არ ჰქვია ჟურნალისტობა, მაგრამ ამ ჯგუფს საზოგადოებაში იცნობენ, როგორც ზონდერჟურნალისტებს...

— ზონდერჟურნალისტიკა ჩვენ სინამდვილეში დიდი ხანია, რაც, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გეხსომებათ „ქართუ ბანკისა“ და ერთ-ერთი მედია-ჰოლდინგის გახმაურებული პოლემიკა 2008 წელს. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი მცდელობა, რომ საზოგადოებას, ბიზნესს, თავი დაეცვა ისეთი ჟურნალისტებისგან, რომელთათვისაც პროფესიული ღირსება, სტანდარტები და ადამიანობა, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. თუმცა, ეკა კვესიტაძე არ არის მარტო ზონდერჟურნალისტი. ის არის ყოფილი მაღალჩინოსნის და ზონდერების დამგეშავის ცოლი, ის დაინტერესებული მხარეა, რადგან მისი კეთილდღეობა პირდაპირ უკავშირდება ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნებას. მე გისვამთ კითხვას, უკავშირდება კი კვესიტაძის საქმიანობა ამ საზოგადოების კეთილდღეობას? პასუხი ერთადერთია — არა!!!

მაშასადამე, პატივცემული ეკა საერთოდ არ არის ჟურნალისტი!

რამდენიც არ უნდა გვიხატონ, რომ თურმე 9 წელი კარგად ვიყავით, ეს ასე არ არის. ყველამ ვიცით, რა დღეში იყო ჩვენი მოსახლეობა მაშინ, როდესაც ესენი კარგად იყვნენ და გაიხსენეთ მაშინდელი ეკა კვესიტაძის ინტერვიუები. მაშინ მას არ აწუხებდა ის სატკივარი, რაც ხალხს აწუხებდა. ძალიან კარგად მახსოვს კვესიტაძის და ჩერგოლეიშვილის დიალოგი, არ ვიცოდით თუ ცხეში ასეთი რამეები ხდებოდაო?

კვესიტაძის ეს მცდელობა გამიზნულია მისივე, კვესიტაძის კეთილდღეობისთვის და სწორედ ამიტომ კადრულობს, რომ ასეთი დეზინფორმაციით შტურმი მიიტანოს მოსახლეობაზე. არ ვამბობ, რომ დღეს მოსახლეობას არ უჭირს, მაგრამ ამ ხალხში კიდევ უფრო მეტი დაბნეულობის შეტანა დიდი უნამუსობაა. ეს ქვეყანა იდგა და დგას იმ ადამიანების მხრებზე, რომლებსაც კვესიტაძემ და მისნაირებმა, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

ესაუბრა

თამთა ქარჩავა

დედამიწის ზურგზე

თურქეთმა შეიძლება ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები „სამხედრო საფრთხის“ შემთხვევაში დაკეტოს

ამჟამად სრუტეების ცალმხრივი გადაკეტვა ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან არღვევს საერთაშორისო შეთანხმებებს, მაგრამ თუ მოხდება ღია კონფლიქტი რუსეთსა და თურქეთს შორის, ან ეს უკანასკნელი იგრძნობს სამხედრო საფრთხეს, მაშინ სრუტეები, რომლებიც აუცილებელია რუსეთის ფედერაციის არმიის სირიის დაჯგუფების მხარდაჭერისათვის, შეიძლება დაიხუროს. თუმცა, სავაჭრო ხომალდები მაინც შეძლებენ გასვლას.

* * *

თურქეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა რუსეთის თვითმფრინავების დარტყმის შესახებ ბადრაგზე სირიის საზღვართან

შემოდის ერთმანეთის საპირისპირო ინფორმაცია: ზოგიერთი წყარო მიუთითებს, რომ ბადრაგი მიდიოდა ლტოლვილების ბანაკში. სხვები ამბობენ, რომ იგი შეიძლება დაებომბა სირიის თვითმფრინავებსაც.

* * *

აშშ-ში გამანადგურებელი F-16 საწვრთნელი გაფრენის დროს დაიმსხვრა

თვითმფრინავი, რომელიც მიწერილი იყო არიზონას შტატის ერთ-ერთ ბაზაზე, დაიმსხვრა ჰოლომანის ბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ავარია მოხდა დასახლებული რაიონებიდან მოშორებით. პილოტმა შეძლო კატაპულტირება, იგი ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მფრინავის მდგომარეობას აფასებენ, როგორც კარგს, მის სახელს არ იტყობინებიან.

* * *

მეცნიერებმა გედის თანავარსკვლავედში ვარსკვლავის უცნაური ნათების განმარტება ნახეს

ტელესკოპი „კეპლერი“ თვალყურს ადევნებს ვარსკვლავ KIC 84628 52 უკვე ოთხი წელია, და ამ პერიოდის განმავლობაში — 2011 და 2013 წლებში — ორჯერ შეინიშნებოდა მის განათებაში უცნაური ცვლილებები. გამოითქვა ვარაუდი, რომ შუქის ნაკადი გზას უკეტავს პლანეტების, ასტეროიდების ან კომეტების ფრაგმენტებს. მეცნიერები აიოვადან ვარაუდობენ, რომ მონახეს დადასტურება „საკომეტო“ ვერსიის მხარდასაჭერად.

* * *

ვენესუელის ოპოზიციის ერთ-ერთი რეგიონალური ლიდერი წინასაბარჩევნო მიტინგის დროს მოკლეს

დანაშაული მოხდა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ქალაქ ალტაგრასია-დეორიტუკოში, იტყობინება „დემოკრატიული მოქმედების“ ლიდერი კაროლოს პროსპერი. უცნობებმა დახვრიტეს პარტიის რეგიონალური განყოფილების გენერალური მდივანი ლუის მანუელ დიასი ავტომობილიდან.

* * *

მიღებულია აშშ თავდაცვის ბიუჯეტი, რომელიც უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდების შესაძლებლობას ითვალისწინებს

ბიუჯეტი ბლოკავს სპეციალური ცხის დახურვას ტერორისტებისათვის კუბაში ამერიკის სამხედრო ბაზა გუანტანამოზე, ვინაიდან არ ითვალისწინებს პატიმართა სხვა ციხეებში გადაყვანის სახსრებს. ინიციატივა უკრაინის მხარდაჭერის შესახებ იძლევა 300 მილიონი დოლარის მხარდაჭერას იარაღის მიწოდებაზე, თუმცა მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ცალკე გადაწყვეტილებას.

◎ ახალი გზავნილი უკრაინიდან

„ვიკილიქს ცენტრი“ მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის შესახებ მორიგ მასალას ავრცელებს

უკრაინული „ვიკილიქს ცენტრი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც, „ვიკილიქს ცენტრისვე“ ინფორმაციით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერია.

გამოქვეყნებულ ტექსტში მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ადეიშვილი რამდენიმე თემაზე საუბრობენ, მათ შორის რუსეთ-თურქეთს შორის ბოლო დღეების მოვლენების გამო გამწვავებულ ურთიერთობებზე, ქართველი სამართალდამცველების მიერ ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირის ბრალდებით დაკავებულ დავით ბორჩაშვილზე, სირიაში გადასულ აჭარელ მუსლიმებზე, რომლებმაც მუქარის შემცველი ვიდეომასალები გაავრცელეს. გარდა ამისა, სტენოგრამაში საუბარია პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებულ „საქართველოს განვითარების ფონდზე“. მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, რომ მას თავიანები „მიაბა“ და „მესამე ძალად უნდა ააგორონ“, რასაც პროპაგანდას „რუსთავი-2“ გაუწევს და უშუალოდ „გვარამია და თარგამაძე გააკეთებენ პიარპროგრამას“.

ამასთან, გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ადეიშვილი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსაც ახსენებენ. კერძოდ, საუბრის თემა გიგი უგულავასა და ნაციონალური მოძრაობის სხვა დაკავებული წევრების შეწყალებაა, აღნიშნულია, რომ მარგველაშვილი „ვანოს და სხვების“ შეწყალებისთვის მზად არის, თუმცა სათანადო პოლიტიკური გარემოს შექმნას ელოდება.

უკრაინული „ვიკილიქს ცენტრის“ მიერ გავრცელებულ სტენოგრამას აუდიოჩანაწერი არ ახლავს.

სააკაშვილ-ადეიშვილის საუბრის სრული ჩანაწერი:

— როგორა ხარ ზურაბ?

— ხო ხედავ, რაც ხდება!

— აბა! რა რეჩკვა ერდოგანმა რუსებს!

— რა მოხდება ახლა მიშა, დიდი ომი ხომ არ დაიწყება?

— ბიჭო CIA-ს გენერალმა მითხრა, რომ თურქები დააჯახეს რუსებს, თან თურქებს პრიჩინაც ქონდათ, პუტინმა დაბომბა მთელი ნავთობის ბაზები ISIS-ში და თურქებს ნავთობის პატოკი გაუჩერა. მერე ქურთები ააბლატავეს, მანამდე ამერიკელებმა კი შეაიარაღეს მაგრამ, ეხლა ირანიდან დიდი იარაღი შედის და ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნაში ეხმარებიან. ხოდა თურქებს აწყობდათ ეგ დარტყმა და რეალურად ჩასაფრებულები იყვნენ, ამით რუსები გააფრთხილეს რომ, სირიელი თურქმენები არ დაბომბონ საზღვართან და ქურთებიც დააშინეს. პარიზის ტერაქტს არავინ ელოდა, ისლამურ სახელმწიფოში ბევრი სასტავია და სიაიეი ყველას ვერ აკონტროლებს.

— მერე მიშა, რუსებმა შეიძლება ომი დაიწყონ, აირევა სიტუაცია.

— დაიწყონ, მერე რა, ჩვენც ეგ გვინდა! ისე, არაფერი არ მოხდება. ნუ, არ გაუშვებენ ეხლა ტურისტებს თურქეთში და ვსიო. არ დაგვიწყდეს შავი ზღვიდან გასასვლელი თურქეთის ხელშია. ეხლა საშიშროებაა ფრანგები და რუსები არ შეიკრან, ეს არის პრობლემა!

— ხო, რა მინდოდა! ერთი პანკისელი ბიჭი ჩავიდა იქედან თბილისში და დააკავეს, ტერორისტობას ტენიან!

— ბორჩაშვილზე მეუბნები, ხო?! მაგაზე უკვე მელაპარაკა კეზერა. ჩემებს შეუთვალე და რაღაცას მოიფიქრებენ, ყველა შემთხვევაში ტერორისტობის მუხლს ვერ შეუფარდებენ და დაიხურება.

— მიშა! ისინი ვინ არიან ალახის სახელით რომ ემუქრებიან საქართველოს?

— ეგენი ვიღაც ქინძები არიან! იქედან ერთი ჯემალა არის, ჩვენებთან იყო ალ-ნუსრაში, ისლამურ სახელმწიფოს შეუერთდა და ზემლიაკები შემოიერთა, ეგენი არინ გურჯისტან ვილაიეთი ვართო, იძახიან. ეხლა რამდენი არიან არ ვიცი, ხო ნახე როგორი გონორით ლაპარაკობენ, ეგ სირები!

საქმეზე მელაპარაკე რა! რაც გითხარი იმაზე რა ქენი?

— რუსთავის საქმე, როგორც გითხარი, გაიწელება, აპელაციაც და უზენაესიც გაწელავს. პაპუაშვილთან წავიმუშავეთ და საკონსტიტუციო სარჩელები კიდევ შევა. მე მაგას გავაკეთებ და კეზერას შენ უთხარი, რომ მოსამართლეებს თანხა დაუფაროს. მერე ნიკა მე მირეკავს, დაფინანსება დამაკლესო, ბეჟუაშვილმა ნახევარი მოგვცაო. მე რა ვქნა, ეს დავითა ვერ დავიჭირე.

— მაგათ მე მივხედავ! შენ ბურჭულაძეზე მითხარი, რა ქენით.

— მაგას ჩვენები მივაბით, მესამე ძალად უნდა ავაგოროთ, ფონდი რომ დაარქვა, ცუდი გასაპიარებელია! მაგრამ კოალიციის სახეს მივცემთ. შენი დახმარება არის საჭირო, ამერიკელებმა მხარი რომ დაუჭირონ.

— ზურა, შენ გააკონტროლე რა ეგ საქმე. გირჩა-მირჩებმა იაქტიურონ ბურჭულაძესთან, ვანო როა, მაჭავარიანის ძმა ბოჩოლასავით რო ნაბავს თვალებს, გააქტიურდეს ყველა. მერე გააბაზრეთ, რომ ამერიკელების პროექტია და ეგ ძალა მოდის სათავეში, პინგვინა გაფრთხილებულია და ბურჭულაძე მოდის, ესე ილაპარაკეთ ყველგან. პაატას შევპირდი, გვარამია და თარგამაძე გაგიკეთებენ პიარ პროგრამას და რუსთავი შენზე იმუშავებს-მეთქი. მაგანაც მთხოვა ამერეკელების მხარდაჭერა, შევპირდი, შენ იაქტიურე და მერე კელი გამოვა და თავისას იტყვის! დიდი მადლობა, ყველაფერს გავაკეთებ ბატონო მიშაო, ბარიტონით მითხრა!

რა გაცინებს, შეჩემა!

— კაი რა! მაგარი სირია ისე ეგ ტიპი!

— მაიცა, ეხლა ! ღადაობას თავი დაანებე, კაცო, მარგველამ რა თქვა, რაო?

— მარგველას ბოკერია ელაპარაკება, ძმაკაცურად. ახალ წლამდე კი შეგვპირდა უგულავაზე, მაგრამ თავი შეიკავა. სათანადო პოლიტიკური გარემო არის შესაქმნელი და ვერ გავაკეთებო. ვანოსაც შევიწყალებ და სხვასაცო, მაგრამ სიტუაცია უნდა შეიქმნასო. მე ვფიქრობ ჩვენები ყველა პოლიტპატიმრებად უნდა გავაფორმოთ, სქემა მომზადებული მაქვს და ვმუშაობთ. სტრასბურგის ბერკეტებს გამოვიყენებთ ასევე.

— დავითა მოვა ჩემთან შვიდ საათზე და შენც მოდი რვის ნახევრისთვის. პრიპორტოვოის საკითხი უნდა მოვაგვაროთ და პროკურატურის სისტემა მოვმართოთ. საყვარელიძემ, დნეპროპეტროვსკში დათო როა გონგაძე, ხო იცი, ის გაუშვა და ნაბიჭვარი კუცუკები გადახდას არ აპირებენ, კარგად მოიფიქრე რა ამაზე! თან იმ კროლიკმა იაცენიუკმა სუ გადაიჯვა თავზე!

— კაი, მოვალ აუცილებლად.

◎ კვლევის შედეგი

ევროკავშირში გაწევრების მსურველთა რიცხვი წლიდან წლამდე იკლებს!

საძართველოს მოსახლეობამ 2015 წელს უფრო მეტი იცის ევროკავშირის შესახებ, ვიდრე 2009 წელს იცოდა, — ნათქვამია ანგარიშში, რომელიც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა გამოაქვეყნა და რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევას საქართველოში.

თუ გავითვალისწინებთ ბოლოდროინდელ ტერორისტულ აქტებს და ევროკავშირის პასიურ პოზიციას შექმნილი რთული და მძიმე ვითარების განსამუხტად, ალბათ, საქართველოში ამ ორგანიზაციის მიმართ გულისწყრომა უფრო მოიმატებდა, თუმცა, ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის **„ევროკავშირი დემოკრატიასთან ასოცირდება. უმეტესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ევროკავშირი მშვიდობისა და უსაფრთხოების წყაროა ევროპაში. ეს არის დემოკრატიული გაერთიანება, რომელიც თავის არაწევრ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებას უწყობს ხელს“.** ეს იმ ფონზე გამოტანილი დასკვნაა, როცა მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ ევროკავშირის შესახებ საკმარის ინფორმაციას არ იღებს, ხოლო ასევე მინიმალურია ევროკავშირის ქვეყნებში ცხოვრების ან თუნდაც მოგზაურობის უშუალო გამოცდილება. ანუ დასკვნები ევროკავშირის დემოკრატიულობის შესახებ ერთობ ჰიპოთეტურია... თუმცა, ამის მიუხედავად ნდობის მაღალი მაჩვენებლით კი სარგებლობს, რადგან გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობას ჰგონია, რომ ევროკავშირს შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატებსა და რუსეთზე უკეთ დაეხმაროს საქართველოს. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი, რადგან მათი აზრით, რუსეთთან ურთიერთობა ჰაერივით აუცილებელია! მოსახლეობის ნახევარზე მეტმა არ იცის, რამდენი ქვეყანაა გაერთიანებული ევროკავშირში, თუმცა 68 პროცენტმა იცის, რომ რუსეთი ევროკავშირის წევრი არ არის.

2015 წელს პირველად შევიდა კითხვარში საკითხი ევრაზიული კავშირის შესახებ, რომლის ლიდერიც რუსეთია. მოსახლეობის ნახევარზე მეტის აზრით, ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა საქართველოს უნდა ჰქონდეს რუსეთთან (56 პროცენტი), მაგრამ არა ევრაზიულ კავშირთან. ხვალ რომ ტარდებოდეს რეფერენდუმი საქართველოს ევრაზიულ კავშირში შესვლის შესახებ, მოსახლეობის 27 პროცენტი აცხადებს, რომ ამ ნაბიჯს მხარს დაუჭერდა, 38 პროცენტი კი — მხარს არ დაუჭერდა.

თუ 2009 და 2011 წლებში მოსახლეობის ნახევარი პასუხობდა, რომ მათი ზოგადი წარმოდგენა ევროკავშირზე დადებითია (36-38 პროცენტი კი ამ წარმოდგენას ნეიტრალურად აფასებდა), 2015 წელს 32 პროცენტი გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას, ხოლო 41 პროცენტი — ნეიტრალურს.

იმის მიუხედავად, რომ გამოკითხული მოსახლეობის 63 პროცენტმა იცის, საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შესახებ მხოლოდ 28 პროცენტმა იცის, რას ნიშნავს ეს შეთანხმება. 2015 წლის გამოკითხვის შედეგად, მოსახლეობის 61 პროცენტი მხარს დაუჭერდა ევროკავშირში გაწევრებას, ხოლო 11 პროცენტი, პირიქით, გაწევრების წინააღმდეგია. 2009 წლიდან 2013 წლამდე კი მოსახლეობის წილი, რომელიც მხარს დაუჭერდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრებას სტაბილურად 78-80 პროცენტს შორის მერყეობდა. ისინი, რომლებიც აცხადებენ, რომ სურთ ევროკავშირში გაწევრება, ამის მიზეზად ასახელებენ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედს. 18 პროცენტს მიაჩნია, რომ გაიზრდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი, ხოლო 23 პროცენტის აზრით, ქვეყანა დაცული იქნება საგარეო საფრთხეებისგან. გაწევრების მომხრეთა მხოლოდ 9 პროცენტი ასახელებს ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მოგზაურობის შესაძლებლობას.

და საინტერესოა პასუხები კითხვაზე, რა მიზეზით ამბობს ხალხი უარს ევროკავშირში გაწევრებაზე. გამოკითხულთა მხოლოდ 11 პროცენტმა უპასუხა ამ კითხვას. და მაინც, ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი ისაა, რომ ეს ზიანს მიაყენებს ქართულ კულტურასა და ტრადიციებს, ხელს შეუშლის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას; აგრეთვე შემცირდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი და ეს შეზღუდავს საქართველოს დამოუკიდებლობას.

CRRC მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ სრულიად გაზვიადებულია წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს ქართველები თავს ევროპელებად აღიქვამენ. იმის მიუხედავად, რომ 56 პროცენტი ეთანხმება ზურაბ ჟვანიას ცნობილ განცხადებას — „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“, **ევროპელობა მაინც არ წარმოადგენს ძართველების ეროვნული თვითიდენტიფიკაციის არათუ ძირითად, არამედ თუნდაც რამდენადმე მნიშვნელოვან ელემენტს. 2015 წელს ერთ პროცენტსაც კი არ შეადგენს მოსახლეობის წილი, რომლებიც მხოლოდ ევროპელად მიიჩნევენ თავს.**

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქვეყანას სჭირდება ის დახმარება, რომელსაც მას ევროკავშირი უწევს, თუმცა, ასევე ფიქრობენ, რომ საქართველოს გაწეული დახმარებით ძირითადად ქართველი მაღალჩინოსნები სარგებლობენ. მოსახლეობა არ არის დარწმუნებული, რომ ეს დახმარება ყოველთვის მიზნობრივად იხარჯება.

საინტერესოა, როგორ აღიქვამენ მოქალაქეები პოლიტიკური პარტიების ევროპულ მისწრაფებებს. მიმდინარე წლის გამოკითხვაში ზოგადად პოლიტიკური პარტიებისადმი დადებითი დამოკიდებულება მოსახლეობის 20 პროცენტმაც კი არ გამოხატა, რაც შეეხება პარტიების ევროპულ მისწრაფებებს, აქ ნაციონალური მოძრაობა ლიდერობს, შემდეგ ადგილს იკავებენ თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკური პარტია. მხოლოდ 24 პროცენტი ფიქრობს, რომ მმართველი პარტია ევროკავშირის მოტრფიალეა.

რაც შეეხება ღირებულებებს, აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი იზიარებს ლიბერალურ დამოკიდებულებას, ხოლო „ფართო საზოგადოება“ ჯერ მზად არ არის, განსხვავებული მოსაზრებები ან განსხვავებული საქციელი მიიღოს. განსაკუთრებით მკაცრი და კონსერვატიულია პოზიციები სექსუალურ თავისუფლებასთან დაკავშირებით.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პრეზიდენტი ქეთევან ვაშაკიძე ამბობს, რომ ეს კვლევა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შემდეგში შესაბამისი სტრატეგია შეიმუშაოს მთავრობამ. **„მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, განსაკუთრებით ტელევიზიების მეშვეობით. მხოლოდ ინტერნეტსივრცე არ არის საკმარისი. ამ მხრივ ცოდნის სერიოზული დეფიციტია. საზოგადოებაში გაძლიერებულია შიში, რომ ევროკავშირი ზიანს მიაყენებს კულტურას და ტრადიციებს, რაც სავარუდოდ დიდ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში გაწევრების მომხრეთა რაოდენობის შემცირებაში“,** — აცხადებს ის.

ჩვენი აზრით, არა მხოლოდ ინფორმაციის სიმწირე ქმნის უარყოფით აურას, არამედ ევროკავშირის არათანამიმდევრული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ხშირად უსაფუძვლო დაპირებებით გაღვივებული. ხოლო იმედგაცრუება არყევს ხოლმე ორმხრივ ნდობას. და რაც მთავარია, შედეგი... **რა მოგვიტანა უკვე მიღწეულმა დაახლოებამ ევროკავშირთან, რა სიკეთეებით ვსარგებლობთ და რამდენად მიღწეულია მიზანი, რის გამოც მივილტვით დასავლეთისკენ?! შედეგი რომ ცხადად შედეგიანი იყოს, სავარაუდოდ, პასუხებიც გაცილებით დადებითი იძნებოდა!**

თეა მოსია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახლად არჩეულ აკადემიკოსთა ტრიბუნა

გიორგი თავაძემ 1967 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში, რომელიც ამჟამად აკადემიკოს ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტად იწოდება. აქ განვლო მან მეცნიერული კარიერის ყველა საფეხური — ლაბორანტობიდან დირექტორობამდე, იქვე მიაღწია ინტელექტუალურ სრულყოფილებას, ჩამოყალიბდა როგორც ლითონებში სწრაფად მიმდინარე პროცესების მსოფლიო მნიშვნელობის მკვლევარი და საქართველოში ამ მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთი თავკაცი.

1976 წელს მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაციები.

1992-2004 წლებში გ.თავაძე მუშაობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მაღალ თანამდებობებზე. 1997 წლიდან 2005 წლამდე კი გ. თავაძე საქართველოში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის (NATO-ს) კვლევებისა და ტექნოლოგიების ორგანიზაციის (RTO) და სახმელეთო შეიარაღების ჯგუფის (NAAG) ეროვნული კოორდინატორია. 1996 წელს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მას მიენიჭა პოლკოვნიკის მორიგი წოდება და დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. იგი გახლავთ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

გ.თავაძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას. 2004 წელს პოლკოვნიკის ჩინით გადის თადარიგში და მთლიანად მეცნიერულ საქმიანობას უბრუნდება მშობლიურ ინსტიტუტში, 2006 წლიდან კი ინსტიტუტის დირექტორია.

მისი ხელმძღვანელობით მიღებული ახალი მასალების კვლევებში აქტიურად მონაწილეობენ ისრაელის ჰაიფას ტექნიკური უნივერსიტეტი „Technion“, აშშ ბერკლის საინჟინრო ქიმიური და მასალათმცოდნეობის ცენტრი და სხვა სუპერტექნოლოგიური დაწესებულებები. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი თავაძე დამსახურებულად მოიხსენიება ამ სფეროში მომუშავე მსოფლიო ლიდერებს შორის.

კოდური სახელწოდებით „თორი“ ცნობილი საჯავშნე კომპოზიციური მასალის მიღებისათვის 1998 წელს გ.თავაძეს თანაავტორებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია, ხოლო 2013 წელს მრავალფუნქციური ლითონური მასალების მიღების მიზნით შესრულებულ მეცნიერულ ნაშრომთა ციკლისათვის — გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია.

2009 წელს გ.თავაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2015 წელს კი — აკადემიკოსად.

არაორგანული მასალათმცოდნეობის მიღწევები და განვითარების პერსპექტივები

მეცნიერება მასალებზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროში. მასალათმცოდნეობა დიფერენცირდება სამეურნეო საქმიანობის მიხედვით: არსებობს საამშენებლო მასალები, ელექტროტექნიკური მრეწველობის, მიკროელექტრონიკის, კრიოგენული ტექნიკის, ატომური ენერგეტიკის, კოსმოსის, ლითონგადამმუშავებელი მრეწველობის, ბიოლოგიისა და მედიცინის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების მასალები.

მასალათმცოდნეობა მეცნიერების ერთ-ერთი ინტენსიურად განვითარებადი დარგია და ყველა მოწინავე ქვეყნის პერსპექტიული მეცნიერული პროგრამების პირველ სამეულში მოიხსენიება. იგი ბიომედიცინის და ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარების კურსს XXI საუკუნეში. თუ ბოლო წლებში საბუნებისმეტყველო სფეროში გაცემულ ნობელის პრემიის ლაურეატების სიას გადავხედავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მასალათმცოდნეობის პრობლემებზეა ორიენტირებული.

არაორგანული მატერიის თვისებები, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მის ქიმიურ შემადგენლობაზე. იმ 92 სტაბილური ელემენტიდან, რომლებიც ჩვენი სამყაროს დიდებულ მრავალფეროვნებას ქმნიან, უმრავლესობა ლითონია. მათი კომბინაციით მიიღება ამჟამად გამოყენებული უამრავი არაორგანული მასალა, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის გარდა მასალის საექსპლუატაციო თვისებებს განსაზღვრავს მისი სტრუქტურაც.

სტრუქტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა გამდნარი ლითონის ზემაღალი სიჩქარეებით გაციება. მართლაც, ჰომოგენური, ანუ ერთგვაროვანი სითხე, სწრაფად გაციების პირობებში მიკროგეტეროგენულ მდგომარეობაში გადადის. ასეთი სისტემა წარმოადგენს დედა ხსნარისა და ახალი ფაზის ჩანასახის დისპერსიულ ერთობლიობას, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ზეგავლენას მოვახდენთ მასზე, უნდა მოველოდეთ სტრუქტურული მრავალფეროვნების წარმოქმნას.

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ მასალათმცოდნეობის თვალსაზრისით მაღალტემპერატურულ, სწრაფად მიმდინარე პროცესებს ამოუწურავი რეზერვი აქვს.

განსაკუთრებული შედეგებია მიღებული ბორისა და ზოგიერთ გარდამავალ ლითონებთან მისი შენადნობების სწრაფად გაციების პირობებში.

ცნობილია, რომ გარდამავალი ლითონების ბორთან ურთიერთქმედების შედეგად მეტად სალი ბორიდები მიიღება. გარდა ამისა, ბორის მსუბუქი იზოტოპი B^{10} ნეიტრონების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მშთანთქმელია, მეორე B^{11} — პირიქით, საუკეთესო ნეიტრონგამჭვირვალე. ამის გამო ბორი ფართო გამოყენებას პოულობს ნეიტრონმშთანთქმელი ან ნეიტრონგამჭვირვალე მასალების, გარდამქმნელების, მთვლელებისა და სხვა აპარატურის დამზადების დროს. დიდი მოთხოვნილებაა ბორის თხელკედლიან ნაკეთობებზეც, მაგრამ ბორი ძლიერ ანიზოტროპული მასალაა, ხასიათდება დაბალი თბოგამტარობითა და მაღალი სიმყიფით და ამიტომ მისგან ჯანსაღი, სრულყოფილი ნამზადის მიღება ურთულესი პრობლემაა. ჩვენ პირველად მივიღეთ (10^6გრად/წმ სიჩქარით გაციების პირობებში ელემენტალური ბორისა და მისი ნაერთების 40/200 მკ სისქის ფირები.

კვლევებმა გვაჩვენა, რომ ლითონების (Fe, Co, Ni, Ti, Zr, V, Hf) ბორიდები ზესწრაფი სიჩქარით გაციების პირობებში კრისტალდებიან წვრილდისპერსიული სტრუქტურის მქონე გადაჯერებული მყარი ხსნარებით წარმოქმნილი **კვაზიევტექტიკის** სახით. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ტერმინს **კვაზიევტექტიკა.** ეს ტერმინი ჩვენ შემოვიტანეთ 1980 წელს. და ამით ხაზი გავუსვით ჩვენს მიერ მიღებული პრეპარატის სტრუქტურის სრულ არაორდინალურობას, გნებავთ, უნიკალურობას. ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ პროფ. დენი შეხტმანის (ისრაელი) სამუშაოებიც, რომელმაც ოთხი წლის შემდეგ, 1984 წელს, სწრაფად გაციებულ Al-Mn შენადნობებში აღმოაჩინა მეხუთე რიგის სიმეტრიის მქონე კრისტალოგრაფიული წარმონაქმნები. ასეთი სიმეტრია მისაღებია მოუწესრიგებელი სისტემებისთვის, მაგრამ მყარი ტანის ფიზიკის პოსტულატებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ლითონური ობიექტებისათვის. ამ თავისებურების აღსანიშნავად შეხტმანმა თავის კრისტალს **კვაზიკრისტალი** უწოდა. 2011 წელს კვაზიკრისტალების აღმოჩენისათვის ისრაელის ხაიფას უნივერსიტეტის ტექნიონის პროფესორს დენი შეხტმანს ნობელის პრემია მიენიჭა. ეს შემთხვევა განსაკუთრებით ყურადსაღებია, ვინაიდან თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მიღწევებს თანამედროვე მასალათმცოდნეობაში განსაზღვრავს ორი ფაქტორის — ტექნოლოგიური პროცესის და კვლევის მეთოდის სრულყოფილება. ჩვენს მიერ დამუშავებული ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფილების შედეგად შესაძლებელი გახდა ბორის ნადნობისაგან სხვადასხვა სახის ნაკეთობის, მათ შორის, ცილინდრული და სფერული ფორმის კონტეინერების დამზადება. აღნიშნული ტექნოლოგია შემდეგში საფუძვლად დაედო კრიტიკული მასის შესანახად განკუთვნილი კონტეინერების დამზადებას.

არაორგანული მასალების კრისტალიზაციის პროცესზე და ფაზურ გარდაქმნებზე ზემაღალი სიჩქარეების გავლენის შესწავლის პროცესში მიღებული მდიდარი გამოცდილება წარმატებით გამოვიყენე თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ტექნოლოგიაში, რომელიც დავნერგე საქართველოში და აქვე დავიწყე მისი ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლების კვლევა ახალი სპეციალური თვისებების მქონე მასალების მიღების მიზნით.

ამ პროცესს საფუძვლად უდევს მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც დაფიქსირდა მყარი რაკეტული საწვავის წვის პროცესების კვლევის შედეგად გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. იმის მიუხედავად, რომ თემა ერთობ გასაიდუმლოებული გახლდათ, მაინც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფართო მეცნიერულ წრეებში. აღმოჩენას ეწოდა „თვითმუხრუჭებადი მყარფაზური რეაქციების თვითტალღოვანი ლოკალიზაციის მოვლენა“.

ამ აღმოჩენამ იმთავითვე მიიპყრო ჩვენი ინსტიტუტის ყურადღება, ვინაიდან ნათელი გახდა, რომ ამ მეთოდით შესაძლებელი იყო მასალათმცოდნეობის მრავალი ადრე გადაუჭრელი პრობლემის მოგვარება. ინსტიტუტმა უმალ დაამყარა მეცნიერული კავშირი პროფესორ ა.მერჟანოვთან ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტში, რომელიც იმხანად ამ მიმართულებას ხელმძღვანელობდა დახურულ ქალაქ ჩერნოგოლოვკაში და ჩვენი თანამშრომლობაც დაიწყო. ამან უთუოდ დიდი გავლენა იქონია თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის აღმავლობაზე. თუ დღეს ამ მიმართულებას ფართო ტექნოლოგიური გამოყენება აქვს და მისი მეშვეობით მრავალი ახალი ნაერთია სინთეზირებული, აქ, უდავოდ, ჩვენი ინსტიტუტის დამსახურებაცაა, რაც არაერთგზის აღინიშნა კიდეც საჟურნალო პუბლიკაციებში, მონოგრაფიებსა და კონფერენციების მასალებში და რაც საყოველთაოდაა დადასტურებული აღმოჩენის ავტორის, აკადემიკოს ალექსანდრე მერჟანოვის მიერ.

პროცესი ხორციელდება ორი ან რამდენიმე რეაგენტის ქიმიური ურთიერთქმედების შედეგად გამოყოფილი სითბოს ხარჯზე, გარე მახურებლის გამოუყენებლად. ამისათვის მორეაგირე კომპონენტების ფხვნილების ნარევის წინასწარ დაპრესილ ბრიკეტს მიეწოდება თბური იმპულსი, როგორც წესი, გახურებული ვოლფრმის ძაფის საშუალებით. ლოკალური გახურების ადგილზე ინიცირდება რეაქცია, რომელიც ვრცელდება მთელ ბრიკეტში „მყარი ალის“ ტალღის სახით. ტალღის გავრცელების სიჩქარე წამში 10 სმ რიგისაა, ხოლო ტემპერატურა 4000°C აღწევს.

ჩვენს ინსტიტუტში განვითარებულმა თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის რამდენიმე ნაირსახეობის გამოყენებამ საშუალება მოგვცა, კვლევები სხვადასხვა მიმართულებით გაგვეშალა, რისთვისაც დამუშავდა სათანადო მეცნიერული და ტექნოლოგიური საფუძვლები.

თმს-ს მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა:

— შეგვემუშავებინა ბორის, ბორის კარბიდისა და ბორის ნიტრიდის მიღების ტექნოლოგიები;

— სალი შენადნობების ახალი ჯგუფი - სინთეზირებული მყარი ინსტრუმენტალური მასალები და მათგან ნაკეთობების მიღება ერთ სტადიაში;

— ლითონური და კერამიკული ზეგამტარი მასალები და მათგან დენგამტარი ნაკეთობები;

— საჯავშნე კერამიკული და ლითონ-კერამიკული მასალები ძალზედ მაღალი ბალისტიკური მდგრადობით.

მოვლენები თმს-ის სფეროში ელვის სისწრაფით იცვლება. მე და ჩემს ჯგუფს ბოლო ხანებში მიღებული გვაქვს მნიშვნელოვანი შედეგები. საქმე ეხება არალითონური და ინტერმეტალური მასალების მიღების ახალ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიას, რომელიც ითავსებს ელექტრო-რეზონანსულ დასხივებასა და თვითგავრცელებად მაღალტემპერატურულ სინთეზს. ჩვენი სიახლე გახლავთ შემდეგი — პროცესის ინიცირებისათვის პირველად გამოვიყენეთ კაზმზე მიკროტალღური ელექტრო-რეზონანსული ზემოქმედება.

აღნიშნული ტექნოლოგიით შესაძლებელია როგორც ფხვნილოვანი მასალების მიღება ნანო და მიკროფხვნილების სახით, ასევე კომპოზიციების მიღება თმს კომპაქტირების რეჟიმში.

მეცნიერული მიმართულება, რომელსაც თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი ჰქვია, დღეს ერთ-ერთ საინტერესო და პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც. მასალათმცოდნეობის ის სეგმენტი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, დღესაც ინტენსიურად ვითარდება ჩვენს ინსტიტუტში და ამ მიმართულებით მომუშავე მსოფლიო ლიდერ მეცნიერთა შორის საპატიო ადგილი გვიკავია.

გიორგი თავაძე,
აკადემიკოსი, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი განონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „კავთისხევის"-ს ჭიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C1+C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 22 200 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 609 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	360,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 005 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი განონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს
		დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „კავთისხევის"-ს ჭიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C1+C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 22 200 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 609 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	360,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 005 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) საავტომობილო გზის გასწვრივ, წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ, საავტომობილო ტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელი მოეწყოს მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, სადაც საფარის მოწყობა განხორციელდეს საავტომობილო გზის საფარის იდენტურად. გ) სალიცენზიო ობიექტიდან ტვირთის გადაზიდვა განხორციელდეს საქართველოს კანონის "საგზაო მოძრაობის შესახებ" გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. დ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ შენარჩუნებული იქნას საავტომობილო გზის ელემენტები და წყალმომცილებელი საშუალებები. ე) წიაღისეულის მოპოვების პერიოდში აკრძალულია გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა–მექანიზმების გაჩერება და დგომა. ვ) სალიცენზიო ობიექტის ფუნქციონირების პერიოდში უზრუნველყოფილი იქნას, მთელი ტერიტორიის ფარგლებში, საავტომობილო გზის ელემენტების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა. ზ) აღნიშნულ ტექნიკური პირობების შესრულებაზე საერთო კონტროლი ევალება საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის და მონიტორინგის სამმართველოს და შპს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო"-ს. თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი განონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი

		კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა დმანისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მოშვდანის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (სამივე უბანზე ერთად) - 87 100 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა დმანისის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	11 679 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 167,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6 040 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 4

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს
		დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. მცხეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვრის ქვიშა ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 39 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. მცხეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 936 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	593,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 168 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 5

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) კარიერის ფუნქციონირებამ არ უნდა გამოიწვიოს სოფლისათვის საჭირო წყლის მარაგის დაშრობა და მიმდებარე ტერიტორიაზე ქანების დაცურება. გ) გამოირიცხოს ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავება. დ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით. ე) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი მომდგომი გამოყენებისათვის. ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით
		დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია, „ოფურჩხეთის" ტემენიტის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 92 000 მ³ ორივე უბანზე ერთად).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 6

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.

		გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალიეთის მიმდებარე ტერიტორია, „სალიეთი"-ს მარმარილოსებური კირქვის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 23 715 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალიეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00
	თარიღი	საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 7		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია, მდ. შოროხევის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 4 800 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	835 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	83,5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	618 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 8		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორია, „მეტეხი II"-ის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 189 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	25 423 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2 542,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	12 912 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 9		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691

2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან. ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველ/ზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი
		მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. გორი, თამარ მეფის ქ. №76, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - Р, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე ჭაბურღილზე ერთად) - 18 250 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. გორი, თამარ მეფის ქ. №76
8	აუქციონის საწყისი ფასი	306 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	30,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	353 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 10		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან. ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) საჭიროებს შემოღობვას და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. ი) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი
		მოცულობის მითითებით). ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №1, ნაკვეთი №2, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - Р, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 10 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №1, ნაკვეთი №2
8	აუქციონის საწყისი ფასი	323 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	32,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	362 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 11		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი

	სარგებლობისათვის	ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთოელობის მოწესრიგება, ხოლო თეითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭა) საჭიროებს შემოღობვას. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. არგვეთას ტერიტორია,

	კონკრეტული ობიექტი	მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. არგვეთა
8	აუქციონის საწყისი ფასი	24 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	212 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 12

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) საჭიროებს შემოღობვას. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთოელობის მოწესრიგება, ხოლო თეითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

		ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) საჭიროებს შემოღობვას. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთოელობის მოწესრიგება, ხოლო თეითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. სორის ტერიტორია, (მიწისქვეშა მტკნარი წყალი სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 9 125 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. სორის ტერიტორია

	ადგილმდებარეობა	
8	აუქციონის საწყისი ფასი	295 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	29,5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	348 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 13

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით; ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის

		შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისყურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მაშავერას (ორი უბანი) ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 90 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისყურის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	12 068 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 206,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	9 854 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 14

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ღია (კარიერული) წესით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისადმი მიდებული წესებისა და ნორმების დაცვით. გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუნ ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოგნარის ტერიტორია, „ეკლარის" (№2 უბანი) კირქვის (მოსაპირკეთებელი) საბადო (კატეგორია - B, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 4 800 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოგნარის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 707 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	370,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%)	3 166 ლარი
	თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 15

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; გ) მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას პერიოდულად განხორციელდეს მდინარის კალაპოტის მონიტორინგი და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში გაჩერდეს სამუშაოები და დაუყონებლივ ეცნობოს სს „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია"-ს. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
		მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. სილაურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. სუფსის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 55 200 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. სილაურის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	7 880 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	788 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6 504 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 28 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ სეზონის ფინიშზე

ქართველი მოჭიდავეები მსოფლიოს საკლუბო თასზე ასპარეზობენ

თეირანში სტარტი აიღო მსოფლიო საკლუბო თასის გათამაშებამ თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 15 გუნდი მონაწილეობს. საქართველოს ნაკრები C ჯგუფში მოხვდა ყირგიზეთის, ბულგარეთის და სომხეთის გუნდებთან ერთად.

A ჯგუფი: ირანი (ბიმეჰ რაზი), ლათინ ამერიკა, უნგრეთი, მონღოლეთი.

B ჯგუფი: ბანგლადეში, ირანი (სეთარაგან სარი), ირანი (ხორასანი), ირანი (ჰამადან შარდარი)

D ჯგუფი: აშშ (ტიტანი), აზერბაიჯანი, ბრაზილია.

თითოეულმა კლუბმა 2 ლეგიონერი დაიმატა. მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ირანის კლუბ ბიმეჰ რაზიში ჭიდაობს.

შეჯიბრება 12-ათასიან აზადის სპორტკომპლექსში იმართება. გამარჯვებული გუნდი 50 000 დოლარს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული – 30 000-ს, მესამეზე კი – 20 000-ს.

საქართველოს ნაკრები შაკო ბედინეიშვილის ხელმძღვანელობით შემდეგი შემადგენლობით ასპარეზობს:

57 – ლევან მურცხვალაძე, ლაშა ტალახაძე,

61 – აკაკი მოწონელიძე, შოთა ფარტენაძე,

65 – მალხაზ ზარქუა,

70 – ალექსანდრე ჯაჭვაძე,

74 – ზურაბ ერბოწონაშვილი,

86 – ირაკლი მწითური, თეიდო ებანოიძე,

97 – გიორგი კაკაურიძე,

125 – თორნიკე ხიდეშელი.

მწვრთნელები: შაკო ბედინეიშვილი, ოთარ თუშიშვილი, გოჩა კირკიტაძე.

მსაჯი: მიხეილ გრძელიძე.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

სანაძემ სეზონის საუკეთესო მატჩში 20 ქულა ჩააგდო

დუდა სანაძის „სან დიეგო ტორეროსმა“ აშშ-ს სტუდენტური ლიგის სტარტზე ზედიზედ მე-4 მარცხი განიცადა, თუმცა, მთავარი ისაა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

ლოიოლას უნივერსიტეტთან წაგებულ (57:67) შეხვედრაში დუდა ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და ორივე გუნდის შემადგენლობიდან მოედანზე ყველაზე მეტი დრო (37 წუთი) გაატარა. საბოლოოდ ქართველმა მცველმა 20 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა და ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა.

სანაძემ 9-დან 3 ორქულიანი, 6-დან 4 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო. ქართველი კალათბურთელი „ტორეროსის“ რიგებში საუკეთესო იყო, „ლოიოლას“ კი 25 ქულით დევონ ტურკმა ულიდერა.

„სან დიეგო“ NCAA-ს ვესტ-ქოუსთის დივიზიონის ბოლო ადგილზეა, მორიგ მატჩს კი ხვალ „სან ხოსე სთეითის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

რაფაელი, საბია და მაია ასათიანი

ძალიან უგუნური და მუტრუკი ვინმე ყოფილა ჰოლანდიელი ბურთის მგორებელი რაფაელ ვან დერ ვაარტი, რომელიც ისე საზაზღრად მოიქცა, ნიდერლანდებში „მაია ასათიანის შოუ“ რომ იყოს, აუცილებლად მიიწვევდნენ და იქაური მაია გვარიანადაც შეჯორავდა – შე ვერაგო და ქალების მტერო, შენაო!

საქმე ისაა, რომ რაფაელმა თავისი აწ უკვე ყოფილი გულისსწორი, მოდელი საბია ბულაჰრუზი მხოლოდ იმიტომ მიატოვა, რომ ამ უკანასკნელს შემთხვევით ორსულობა შეუწყდა, მუცელი მოეშალა და ვან დერ ვაარტების უკვდავი და მარად უჭკნობი გვარი უმემკვიდროდ დატოვა.

საბია ბულაჰრუზი რაფაელის ამ საქციელმა, რასაკვირველია, ძალიან გაანაწყენა (ვინ არ განაწყენდებოდა?!) და სულ იმას იძახის, მე ჩემი ყოფილი სატრფო კაცი მეგონა და ხელში ჩვეულებრივი უნამუსო ჯეელი შემრჩაო. ეს ტექსტი მაიკო ასათიანს არ წაკითხოთ, თორემ მისი ამბავი რომ ვიცით, ვან დერ ვაარტს აქედან შეუთვლის კრულვას. ისე, იცოცხლეთ – ღირსი კი იქნება!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფეხბურთი

პოსტსაბჭოური ჰანგები

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეხუთე ტურში სარბიელზე 6 გუნდი გამოვიდა და მათი საერთო შედეგი – 2 მოგება, 2 ფრე და 2 დამარცხება – ძალაუნებურად გვაფიქრებინებს: ჩვენ როდისღა დავუბრუნდებით ევროპული ფეხბურთის საკლუბო ელიტას?

პეტერბურგის „ზენიტის“, კიევის „დინამოსა“ და ბოროსოვის ბატეს საქმენი საგმირონი გუშინ გაგაცანით, დანარჩენებზე კი ამჯერად ვისაუბროთ:

„ა“ ჯგუფი. „მალმიო“ – „პარი სენ-ჟერმენი- 0:5, „შახტარი“ – „რეალი“ 3:4.

მოგეხსენებათ, უკრაინის ორად გახლეჩის გამო დონბასელები მოკლებულნი არიან საშინაო მატჩების საკუთარ აფეთქებულ მინდორზე გამართვის საშუალებას. ამას დაემატა მათი რუმინელი თავკაცის მირჩა ლუჩესკუს უცნაური გადაწყვეტილებაც – ხუთი ბრაზილიელიდან სასტარტო შემადგენლობაში ადგილი მხოლოდ სამისთვის მოეძებნა.

მართალია, დენტინიო და ტეიშეირა პარტნიორებს შესვენების შემდეგ შეუერთდნენ, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, ამიტომ სამხრეთამერიკელ ლეგიონერთა შედეგიანი თამაში მხოლოდ სტატისტიკაზე აისახა. გასათვალისწინებელია ესპანელთა მოტივაციაც – მათ ხომ რამდენიმე დღის წინათ „ბარსასთან“ ელ კლასიკოში ფიასკოს შემდეგ რეაბილიტაცია მართებდათ, რასაც რონალდუს ძალისხმევით („დუბლი“ და 2 საგოლე პასი) წარმატებით გაართვეს თავი.

„რეალი“ – 13, „პარი სენ-ჟერმენი“ – 10, „შახტარი“, „მალმიო“ – 3-3 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. „მანჩესტერი“ – „ეინდჰოვენი“ 0:0, ცსკა – „ვოლფსბურგი“ 0:2.

არმიელებმა ქარს გაატანეს პლეი-ოფში გასვლის ჩინებული შანსი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათ იღბალმაც შეაქცია ზურგი (მაგალითად, 0:0-ზე ტოშიჩის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა, ხოლო რამდენიმე ეპიზოდში სტუმართა მეკარე ლენომ იყოჩაღა მაშინ, როცა მისმა კოლეგა აკინფეევმა კუროზული შეცდომით დააწინაურა მეტოქე).

„ვოლფსბურგი“ – 9, „მანჩესტერი“ – 8, „ეინდჰოვენი“ – 7, ცსკა – 4 ქულა.

„გ“ ჯგუფი. „ატლეტიკო“ – „გალათასარაი“ 2:0, „ასტანა“ – „ბენფიკა“ 2:2.

ქებათაქება სეზონის ყაზახურ აღმოჩენას, რომელმაც გამობრძმედილ გრანდებთან სადებიუტო საშინაო გამოცდები ღირსეულად ჩააბარა და მესამე ფრე გამოაცხო. მეტიც – მასპინძლები მე-40 წუთისთვის 2:0-ს იგებდნენ ბრძოლას (ტუმასი, ნედიჩი). ასეა თუ ისე, „ასტანამ“ ევროპის ლიგაზე გადართვის შესაძლებლობა შეინარჩუნა, ოღონდ საამისოდ დასკვნითი შეხვედრა სტამბოლში „გალათასარაის“ უნდა მოუგოს.

„ბენფიკა“, „ატლეტიკო“ – 10-10, „გალათასარაი“ – 4, „ასტანა“ – 3 ქულა.

„დ“ ჯგუფი. „იუვენტუსი“ – „სიტი“ 1:0, „გლადბახი“ – „სევილია“ 4:2.

„იუვენტუსი“ – 11, „სიტი“ – 9, „გლადბახი“ – 5, „სევილია“ – 3 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ კაცია და გუნეგა

მესიმ „ოქროს ბურთის“ მაძიებელთა სიაში რონალდუ არ შეიყვანა

არგენტინის ეროვნული ნაკრებისა და კატალონიის „ბარსელონას“ თავდამსხმელმა ლიონელ მესიმ „ოქროს ბურთის“ მაძიებელთა სიაში მადრიდის „რეალის“ შემტევი კრიშტიანუ რონალდუ არ შეიყვანა.

„ვისურვებდი ამ ტიტულისთვის ნეიმარმა, ლუის სუარესმა და მე ვიბრძოლოთ, თუმცა, არ ვაპირებთ მხოლოდ ამაზე გადავერთოთ. დარწმუნებული ვარ, ისინიც ასე ფიქრობენ“ – განაცხადა მესიმ MARCA-სთან საუბრისას.

„ოქროს ბურთის“ ნომინანტთა სამეული ერთი გუნდიდან 2010 წელს დაკომპლექტდა. მაშინ საუკეთესო ლიონელ მესი გახდა, მეორე ადგილზე ანდრეს ინიესტა გავიდა, ხოლო მესამეზე – ჩავი ერნანდესი.

2015 წლის საუკეთესო სამეულს 30 ნოემბერს აქამდე დასახელებული 23 ფეხბურთელიდან შეარჩევენ, „ოქროს ბურთის“ მფლობელი კი დამდეგი წლის 11 იანვარს ციურიხში ფიფას გალა-დაჯილდოებაზე გამოვლინდება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კვალი დროში

აკადემიკოს ნიკო ვახანიას ხსოვნას



ამ რამდენიმე დღის წინათ ქართული სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს **ნიკოლოზ (ნიკო) ვახანიას** საცხოვრებელ სახლთან, სადაც კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ნ. ვახანიას ხსოვნას და მისი სახელის უკვდავსაყოფად გახსნეს მემორიალური დაფა.

ნ. ვახანიამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მათემატიკის ერთ-ერთ ახალ მიმართულებას — ალბათობის თეორიას უსასრულოგანზომილებიან ვექტორულ სივრცეებში. მისმა ნაყოფიერმა სამეცნიერო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აღნიშნული მიმართულების განვითარებაზე, ხოლო მისი კლასიკური მონოგრაფიები, როგორც არაერთი უცხოელი კოლეგა აღნიშნავს, დღესაც მრავალი ციტირებისა და ახალი იდეების შთაგონების წყაროს წარმოადგენს. ის მრავალჯერ იყო მიწვეული მსოფლიოს ყველა კონტინენტის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში, სადაც უცხოელ კოლეგებთან ერთად ჩატარებული აქვს ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და წაკითხული აქვს ლექციების კურსი. საბჭოთა მათემატიკოსთაგან ნ. ვახანია იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც სამეცნიერო სამუშაოს ჩასატარებლად ხანგრძლივი მივლინებებით იმყოფებოდა იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მის მიერ შექმნილმა სამეცნიერო სკოლამ მოკლე დროში მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. უკვე ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც ეს სკოლა ვექტორულ სივრცეებში ალბათობის თეორიის ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრად ითვლება.

ნიკო ვახანია დაიბადა ქუთაისში 1930 წლის 28 აგვისტოს. 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, თუმცა მალევე მიხვდა, რომ მისი მოწოდება მათემატიკა იყო და იმავე წელს ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის რეკომენდაციით, ნ. ვახანიამ ასპირანტურის კურსი გაიარა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს სერგეი სობოლევის ხელმძღვანელობით. 1958 წელს კი ამავე უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1957 წელს ნ. ვახანიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად დაარსებულ გამოთვლით ცენტრში მისი მაშინდელი დირექტორის, პროფესორ დავით კვესელავას მიწვევით. პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თსუ მექანიკა-მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტებზე. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მისი, როგორც პედაგოგის სახე. იგი საოცარი აზარტით და ენთუზიაზმით კითხულობდა ლექციებსა თუ მოხსენებებს; ცდილობდა და ახერხებდა კიდეც, აეყოლიებინა მსმენელი, ეფიქრა მასთან ერთად და გაეხადა პროცესის თანამონაწილე. ნ. ვახანიას ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა დაეუფლა მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდებს. ყოველივე ეს კი თავდადებული შრომის შედეგი იყო, რომელსაც ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული და შრომისადმი იგივე დამოკიდებულებას მოითხოვდა თავისი მოწაფეებისგანაც. „მუშაობა უწყვეტი პროცესი უნდა იყოს. ღმერთი ნიჭსა და უნარს თანაბრად არ უნაწილებს ადამიანებს, მაგრამ იმდენს არავის აძლევს, რომ დიდი შრომის გარეშე დიდი წარმატების მოპოვება შეიძლებოდეს“, — ამბობდა ის.

ნ. ვახანიამ 1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1970-1973 წლებში იყო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, 1971-2004 წლებში კი — თსუ შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის გამგე.

ნ. ვახანიას შემოქმედებითი აქტივობა არ შემოფარგლულა მხოლოდ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით. მისი ორგანიზატორული ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობის პერიოდში, რაც 1978 წლიდან დაწყებული 27 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. 2008-2013 წლებში კი იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობაში, მრავალი წელი ასრულებდა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილის მოვალეობას.

აკადემიკოსი ნიკოლოზ ვახანია 2014 წლის 23 ივლისს გარდაიცვალა. საქმე, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა, ახლაც ცოცხალია და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი ამჟამადაც ნაყოფიერად იღვწის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში. ნ. ვახანიას მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლი იმთავითვე სათანადოდ იყო აღიარებული და დაფასებული - იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემიებისა და ორჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის ლაურეატი.

ყველა, ვინც კი იცნობდა ნიკო ვახანიას, დიდად აფასებდა მის მაღალ პროფესიონალიზმს, პრინციპულობასა და ობიექტურობას, გამორჩეულ ადამიანურ თვისებებს, ღირსების გრძნობას და კეთილგანწყობას კოლეგების მიმართ. მრავალი ჯილდო აქვს მას მიღებული, მაგრამ ყველაზე მთავარი ჯილდო, ალბათ, ის დიდი სიყვარული და პატივისცემაა, რაც მის კოლეგებს, მოწაფეებსა და ყოფილ თანამშრომლებს სათუთად შემოუნახავთ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი.

◎ წიგნის ფესტივალი

პატარებისა და დიდების „საუკეთესო მეგობრის“ დღესასწაული

შემოდგომის მიწურულს დედაქალაქის საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ხუთი — № 3, 4, 5, 6 და 11-პავილიონი უკე მეორედ მასპინძლობს „თბილისის წიგნის დღეებს“, რომლებიც 29 ნოემბრამდე გაიმართება.

„თბილისის წიგნის დღეები“ საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“, თბილისის გოეთეს ინსტიტუტისა და წიგნის ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით ტარდება. ღონისძიების პარტნიორები არიან ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და იგი საქართველოს გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მხარდაჭერით ხორციელდება.

თავად წიგნის ფესტივალი, რომელიც რამდენიმე პავილიონში თემატურადაა განაწილებული, ორი კომპონენტისაგან შედგება: ერთია წიგნის ხელოვნების ფესტივალი, მეორე — წიგნის ბაზრობა.

წიგნის ხელოვნების ფესტივალი ქართველი და უცხოელი ილუსტრატორების, წიგნის დიზაინერებისა და გამომცემლობების გამოფენებს, ლექციებსა და შეხვედრებს მოიცავს. განსაკუთრებით ვრცელია საგამოფენო პროგრამა: 17-დან სამი მასპინძლებს აქვთ დათმობილი, დანარჩენი — სტუმრებს. მთლიანად ფესტივალში ოთხ ათეულზე მეტი ქართველი და უცხოელი გამომცემელი მონაწილეობს.

ვრცელია ყველაზე პატარა მკითხველთათვის განკუთვნილი საბავშვო-საგანმანათლებლო პროგრამა. სხვადასხვა ილუსტრატორთა გარდა საგამოფენო პავილიონებში ოთხი დღის განმავლობაში მოზარდებს საგანგებო და შემეცნებით ღონისძიებებზე ეპატიჟებიან საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და გოეთეს ინსტიტუტის თანამშრომლები. პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც ხატვისა და ხელოვნების გასართობი გაკვეთილები, ასევე ინტერდისციპლინარული აქტივობები პატარებისთვის.

წლევანდელი „თბილისის წიგნის დღეები“ დაინტერესებულ მკითხველებს პრესტიჟული კონკურსების გამარჯვებულ დიზაინერ-ილუსტრატორებს, გამომცემლებსა და ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტების წამყვან სწავლულებს გააცნობს, რომლებიც ფესტივალის ფარგლებში ლექციებსა და სამუშაო შეხვედრებს გამართავენ.

წიგნის ფესტივალის მეორე მნიშვნელოვანი მდგენელია წიგნის ბაზრობა, რომელშიც უკლებლივ ყველა სამამულო გამომცემელი იღებს მონაწილეობას. ამ დღეებში წიგნის მოყვარულებს მოწონებულ გამოცემათა ფასდაკლებთი შეძენა შეეძლებათ, განსაკუთრებულ მყიდველთათვის დამატებით სახალისო პრიზებიცაა გათვალისწინებული.

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საჩხერის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, დამსახურებული პედაგოგი, ვეტერანი

ქიშვარდი გერონტის ძე ჭიხორია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

გრძელდება პრობაციონერთა დასაქმება

პრობაციის ეროვნული სააგენტოს დახმარებით დედოფლისწყაროსა და თერჯოლაში პრობაციონერები დასაქმდნენ.

პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, მსჯავრდებული ს. ბ., საპრობაციო ვადის მოსახდელად, კახეთის პრობაციის ბიუროში დადგა ალრიცხვაზე. კახეთის პრობაციის ბიუროს რეკომენდაციით პირობით მსჯავრდებული დაასაქმა სამშენებლო კომპანია „კავკაზტრანსმა“, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს.

იმერეთის პრობაციის ბიუროს დახმარებით, „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურში“ დასაქმდა პრობაციონერი მ. გ.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით, 2015 წელს უკვე 111, ხოლო 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე —381 პრობაციონერი დასაქმდა.

ფოტოზე შემორჩენილი ახალგაზრდობა

ამ დღეებში თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 35-ე წლისთავია. მისი მეცნიერი მუშაკების დიდმა ნაწილმა წრთობა ცნობილ დუბნას სამეცნიერო ცენტრში მიიღო. სურათზე წარმოდგენილია ქართული სათვისტომო მოსკოვის ოლქში (ქ. დუბნა) 1970 წ. მომავალი მეცნიერებათა დოქტორები და აკადემიკოსები: პირველ რიგში (მარცხნიდან): ანზორ ხელაშვილი, რევაზ სალუქვაძე, ალეკო თავხელიძე, მადონა ჯღარკავა, ნოდარ ამაღლობელი, ფელიქს ტყებუჩავა. მეორე რიგში: ვლადიმერ კეკელიძე, მურად ჩარგეიშვილი, ლევან მარკოზაშვილი, შოთა შოშიაშვილი, ვახტანგ გოგოხია, ბადრი ჭილაძე, მიხეილ ნიორაძე, მერაბ ჩავლეიშვილი, დალი გერსამია, ვახტანგ ხმალაძე.

მოგვაწოდა ომარ შუდრამ

◎ ჩვენი კარაბადინი

ხუთი წუთი, ხუთი წუთი...

ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრების ჯდომითი წესით არიან დაკავებული, ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის დროდადრო უნდა დაკარგონ სულ ხუთი წუთი, მიაჩნიათ მეცნიერებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

მათ ექპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 20-35 წლის 11-მა ჯანსაღმა მამაკაცმა, რომლებსაც არ ჰქონდათ პრობლემა ზედმეტ წონასთან დაკავშირებით. მოხალისეებს სთხოვეს მსხდარიყვნენ უმოძრაოდ სამი საათის განმავლობაში. გამოკვლევამდე და მისი დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ მათ გაუზომეს არტერიული წნევა და ულტრაბგერის დახმარებით შეუმოწმეს თეძოს არტერიის ფუნქციები. გამოირკვა, რომ თეძოს არტერიის ფუნქციები შემცირდა მჯდომარე მდგომარეობაში ყოფნის 1 საათის განმავლობაში. მაგრამ თუ გამოსაცდელები ყოველ საათში დადიოდნენ სულ 5 წუთის განმავლობაში, სისხლდენადობა არ იტანჯებოდა.

ასობით ათასი ადამიანი მთელი სამუშაო დღე სავარძელში ზის. ეს, უწინარეს ყოვლისა, სახიფათოა გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის, ვინაიდან ჰიპოდინამია — ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის განვითარების რისკის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია.

წითელი ხორცის სარგებლობა და ზიანი

გადამუშავებული ხორცის — ძეხვის, სოსისის ან ბეკონის — 50 და მეტი გრამის ყოველდღიური მოხმარება 18 პროცენტით ზრდის კუჭ-ნაწლავის კიბოს გაჩენის რისკს, ამტკიცებენ მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვისა და კიბოს შესწავლის საერთაშორისო სააგენტოს სპეციალისტები.

თავად ხორცს ზიანი არ მოაქვს — კანცეროგენური ეფექტი აქვთ ნივთიერებებს, რომელსაც იყენებენ მისი გადამუშავების დროს. „კოლორექტალური კიბოს განვითარების ინდივიდუალური რისკი ხორცის პროდუქტების მოხმარების გამო საკმაოდ დაბალი რჩება, მაგრამ იგი იზრდება შეჭმული გადამუშავებული ოდენობის ზრდასთან ერთად“, — ამბობენ მეცნიერები.

ისინი შეგვახსენებენ, რომ წითელ ხორცს აქვს სასარგებლო თვისებებიც: იგი მდიდარია B12 ვიტამინით, თუთიითა და რკინით.

უნიკალური კვალი

„მიკრობული ღრუბელი“ უფრო მეტადაა ინდივიდუალური ნიშანი, ვიდრე თითების ანაბეჭდი, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები.

სხვადასხვა მიკროორგანიზმების ნარევს, რასაც აფრქვევს ყოველი ადამიანი გარემო ჰაერში, სპეციალისტებმა „მიკრობული ღრუბელი“ უწოდეს. ამ „ღრუბლის“ უნიკალურობა დადასტურდა ექსპერიმენტში. მოხალისეები სტერილურ ტანსაცმელში მოათავსეს ოთახში, რომელიც წინასწარ გაუვნებლეს და გაავსეს გაფილტრული ჰაერით. შემდეგ მეცნიერებმა შეაგროვეს ყველა ნაწილაკი, რომელიც ოთახში ხვდებოდა ადამიანებისგან. შეგროვილმა მასალამ გაიარა გენეტიკური ანალიზი.

მოხალისეების ოთახში განთავსების ორი საათის შემდეგ მეცნიერებს ზუსტად შეეძლოთ, ეთქვათ, ნამდვილად იყვნენ თუ არა მასში ადამიანები. უფრო მეტიც, მეცნიერებს შეეძლოთ, მიეთითებინათ კონკრეტული ადამიანი, რომელიც ოთახში იმყოფებოდა, ვინაიდან ყოველ მოხალისის ბაქტერიული შემადგენლობა იყო უნიკალური.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ადამიანის ბუნება ასეა მოწყობილი: როგორც კი იგი იპოვის ადგილს მზის ქვეშ, მაშინვე იწყებს მზისგან დამცავი ქოლგის ძებნას.

* * *

მძინავს მანამ, სანამ ჭამა მომინდება.

მდიდარ ქალაქებში ხალხს მეტი ავტომობილი ჰყავს, ღარიბ ქალაქებში კი მანქანების გასაჩერებელი მეტი ადგილია.

* * *

ძვეძანაში სერიოზული ინფლაციაა. შარშან 70 კილოგრამს ვიწონიდი, ახლა კი 80 კილოგრამს ვიწონი.

◎ გაითვალისწინეთ!

პარაცეტამოლს თირკმლების ბლოკირება შეუძლია!

ყველაზე ფართო მოხმარების მედიკამენტი „პარაცეტამოლი“ ხშირად ყველაზე უსაფრთხო გვგონია და თამამად ვასმევთ ბავშვებსაც. არადა, „პარაცეტამოლთან“ დოზების მკაცრი კონტროლი აუცილებელია. საქმე ისაა, რომ გაციების დროს, როცა პაციენტი ერთდროულად მოიხმარს სიცხის დამწევს, ხველის საწინააღმდეგოს და სურდოს მომხსნელ საშუალებებს, შესაძლოა, ყველა მათგანი ცალ-ცალკე შეიცავდეს „პარაცეტამოლს“. მშობლები კი ყველაზე ხშირად სწორედ ხველებისა და სურდოს წამლებს ასმევენ ბავშვებს ექიმის დანიშნულების გარეშე. თუ ამ დროს ბავშვს მაღალი სიცხეც აქვს და დამწევად ასევე „პარაცეტამოლს“ ვასმევთ, მის ორგანიზმში ეს ნივთიერება უკვე რამდენიმე მედიკამენტის საშუალებით ხვდება, შესაბამისად, დოზის გაკონტროლება რთულდება.

დოზის ასეთმა „უნებლიე“ გადაჭარბებამ არაერთი პაციენტი იმსხვერპლა — სასიკვდილო საფრთხეს „პარაცეტამოლი“ თირკმლების ბლოკირებით ქმნის.

სპეციალისტები გვირჩევენ, ყურადღებით წავიკითხოთ ყველა მედიკამენტის შემადგენლობა და დოზებიც მკაცრად დავიცვათ. მათივე რჩევით, უმჯობესია, სახლში „პარაცეტამოლის“ შემცველი მხოლოდ ერთი მედიკამენტი ვიქონიოთ.

დოზის გადაჭარბების ხშირი შემთხვევების გამო ბრიტანელმა მედიკოსებმა ბავშვებისთვის „პარაცეტამოლის“ დოზების შეცვლა მოითხოვეს. მათი კვლევის შედეგების მიხედვით, ყოველ მეოთხე ბავშვს „პარაცეტამოლის“ ხშირი მოხმარების გამო თირკმლის დაზიანების რისკი აქვს.

presa.ge

◎ კრიმინალი

საზღვარს უკანონოდ გადაკვეთდნენ

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მეორე სამმართველოს (ახალციხე) №2 სასაზღვრო სექტორის (ვალე) დასაცავ მონაკვეთზე ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით 11 პირი დააკავეს.

ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული გიორგი კ. თბილისში, გლდანის დასახლებაში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, გიორგი კ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 4 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

**რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.**

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე